ხობის მოამბე

№14-15 (7140)
24 დეკემბერი,
პარასკევი, 2021 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ!

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს სხდომა

3 დეკემბერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მეხუთე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

სხდომა 66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ **ჯემალ შეროზიამ** გახსნა, მან ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები შეაჯამა და სიტყვა გადასცა საკრებულოს უხუცეს წევრს **ვლადიმერ ქანთარიას**.

სხდომაზე საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და თანამდებობის პირების არჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილიქნა დროებითი სამანდატო და ხმის დამთვლელი კომისიები, რის შემდეგ ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულიქნა **ლევან ქავთარაძე**.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ–**მამუკა ქარდავა,** ხოლო მოადგილედ **გოჩა ქაჯაია**.

საკრებულოს პირველ სხდომაზე რეგისტრირებულიქნა სამი ფრაქცია–„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“–თავმჯდომარე **აკაკი მალანია**.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“–თავმჯდომარე **ია ჯიშკარიანი.**

„ხობი საქართველოსთვის“–თავმჯდომარე **მალხაზ იოსავა.**

არჩეულიქნენ ასევე ფრაქციების თავმჯდომარის მოადგილეები.

სხდომაზე ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეულიქნენ საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები:

ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარედ–**ბექა მამაცაშვილი**.

იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ–**მედეა თათარიშვილი.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ–**ლევან ლიპარტია**.

საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ–**დოდო გაბუნია**.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ–**ვლადიმერ ქანთარია.**

ახალი მოწვევის საკრებულო დაკომპლექტდა 36 წევრით, სადაც 12 მანდატი მაჟორიტარულ, ხოლო 24 პროპორციული წესით არჩეულ საკრებულოს წევრებს ერგოთ. აქედან, 21 მანდატი–„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“, 11 მანდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო 4 მანდატი „გახარია-საქართველოსთვის“ მოიპოვა.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის საჯარო მოხელეები, მასმედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

2021 წლის 30 ოქტომბერს არჩეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა შემადგენლობა:

1 ია ჯიშკარიანი.
2. გურიელ ქარდავა.
3. ლელა ადანაია.
4. მოგელი ხუხია
5. ზურაბი შამათავა
6. თამარი ქირია
7. ფელიქსი წურწუმია
8. ჯანსული ჯიშკარიანი
9. ნინო ბოკუჩავა
10. მალხაზი იოსავა
11. ირაკლი ზაქარაია
12. მაკა ჩარტია
13. ნუგზარი შუშანია
14. გოჩა ქაჯაია
15. მზია ლემონჯავა
16. მამუკა ქარდავა
17. აკაკი მალანია
18. მედეა თათარიშვილი
19. ვლადიმერ ქანთარია
20. ბექა მამაცაშვილი
21. ქეთევან კვირიკაშვილი
22. დიტო ხასია
23. ფრიდონი შონია
24. დოდო გაბუნია
25. ლევანი ქავთარაძე
26. ლევანი ლაშხია
27. ვეფხვია ფოცხორაია
28. ლევანი ლიპარტია
29. ფრიდონი კუკავა
30. გივი ლატარია
31. კობა გერგაია
32. აკაკი ხურცილავა
33. სერგო ბერაია
34. გიორგი გვასალია
35. ბადრი რიჟამაძე
36. ბექა ხარბედია.

დავით ბუკია–ხობის მუნიციპალიტეტის მერი

„გავუფრთხილდეთ ადამიანურ ურთიერთობებს და სიყვარულით ვაკეთოთ საქვეყნო საქმე“

ბატონო დავით, გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები კიდევ ერთხელ გილოცავთ არჩევნებში გამარჯვებას...

–დიდი მადლობა მოლოცვისთვის და ამ ინტერვიუსთვის, გპირდებით, გულწრფელად გავცემ პასუხებს თქვენს მიერ დასმულ კითხვებს.

3

ლევან ქავთარაძე–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

დაიბადა 1973 წლის 1 იანვარს ქალაქ ხობში.

1989 წელს დაამთავრა ქ. ხობის №1 საშუალო სკოლა.

1991–1997–სანქტ-პეტერბურგის ი.პ. პავლოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1997–2001–სანქტ-პეტერბურგის ი.პ. პავლოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრის კლინიკური ორდინატურა. ექიმი ნევროლოგი.

1997–2001–სანქტ-პეტერბურგის ი.პ. პ ა ვ ლ ო ვ ი ს სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრის კლინიკური ორდინატორი.

2001-2007–სანქტ-პეტერბურგის ქალაქის №2 მრავალპროფილიანი საავადმყოფოს ნეიროქირურგიული ცენტრის ნევროლოგი.

2009-2014–შ.პ.ს. „მკურნალის“ დირექტორი, ნევროლოგი.

2014-2017–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

2017-2021- შ.პ.ს. „მკურნალის“ ექიმი ნევროლოგი.

ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი და ერთი შვილიშვილი.

მამუკა ქარდავა–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

დაიბადა 1967 წლის 16 ოქტომბერს ხობის რაიონის სოფელ ხეთაში.

დაამთავრა ქალაქ ნოვოჩერკასკის პოლიტიკური ინსტიტუტი, ინჟინერ მექანიკოსის პროფესიით.

შრომითი საქმიანობა:

1989-1991–ხეთის დაფნისა და ციტრუსების მეურნეობის საწყობის გამგე.

1991-1995–ხობის დაფნის კომბინატის საამქროს უფროსი;

1996-2003–კომერციული საქმიანობა;

2004-2010–„საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე;

2008–საპარლამენტო არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიციის შტაბის უფროსი;

2010-2012–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ხობი-დემოკრატების“ თავმჯდომარე;

2012–კოალიცია „ქართული ოცნების“ ხობის რაიონული შტაბის უფროსი;

2012–საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;

2012-2014–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

2014-2021–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ზოჩა ქაჯაია–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

დაიბადა 1964 წლის 28 თებერვალს, ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში.

1981 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის №100 საშუალო სკოლა.

1982-1988 წ.წ.–ქ. კალინინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით.

2002-2006 წ.წ.–სოფელ საჯიჯაოს საკრებულოს თავმჯდომარე.

2006-2012 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2013 წ.–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

2013–2014 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი.

2014-2017 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2017 წლის 12 ნოემბრიდან 2021 წლის ნოემბრამდე ხობის მუნიციპალტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

აკაკი მალანია–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

დაიბადა 1996 წლის 29 დეკემბერს ქალაქ ხობში

2014 წელს დაამთავრა ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი. ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, ციფრული მართვის ტექნოლოგიების სპეციალობით.

დასაოჯახებელი

დოდო გაბუნია–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დაიბადა 1954 წლის 21 თებერვალს ქალაქ სენაკში

1971 წელს დაამთავრა ქალაქ სენაკის №2 საშუალო სკოლა.

1973-1979 წ.წ.–ქ. ლენინგარდის პედიატრიული სამედიცინო ინსტიტუტი. სპეციალობით ექიმ-პედიატრი

2007 წელი- ვაკის საოჯახო მედიცინის ცენტრი, ოჯახის ექიმი.

1979-1981 წ.წ.–ენგურჰესის სამედიცინო-სანიტარული ნაწილი-ექიმი პედიატრი.

1981-2014 წ.წ.–ხობის რაიონული ცეტრალური საავადმყოფო, ექიმი პედიატრი.

2014-2017 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2017-2021 წ.წ.–ხობის მუნციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი

მედეა თათარიშვილი–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

დაიბადა 1992 წლის 25 სექტემბერს ქალაქ ხობში

2010 წელს დაამთავრა ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა.

2010-2014 წ.წ.–სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

2015-2021 წ.წ.-ა (ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“–სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფისა და შესყიდვების საკითხებში.

დასაოჯახებელი.

ბექა მამაცაშვილი–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე

დაიბადა 1991 წლის 27 დეკემბერს ქალაქ სენაკში.

2009 წელს დაამთავრა ჭალადიდის საჯარო სკოლა.

2009-2013 წ.წ.–უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“. საბანკო-საფინანსო საქმის და დაზღვევის სპეციალისტი.

2015-2016 წ.წ.–სადაზღვევო კომპანია „ქართუს“ წარმომადგენელი.

2016-2017 წ.წ.–შპს „ტრანსფორდი“, კომერციული განყოფილება, უფროსი ინსპექტორი. 2017-2021 წწ.–მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

დასაოჯახებელი.

„გავუფრთხილდეთ ადამიანურ ურთიერთობებს და სიყვარულით ვაკეთოთ საქვეყნო საქმე“

დავით გუკია–ხობის მუნიციპალიტეტის მერი

1

არჩევნებამდე საზოგადოებას ჰქონდა საშუალება, უკეთ გაგცნობოდათ (ვგულისხმობ საინფორმაციო საშუალებებს და თქვენს შეხვედრებს მოსახლეობასთან), მით უფრო, ისედაც ცნობილი ოჯახის შვილი ბრძანდებით. გთხოვთ, კიდევ ერთხელ გაიხსენოთ ლაღი ბავშვობა, ახალგაზრდობა და თქვენი სამსახურებრივი გამოცდილება.

–მადლობა ასეთი შეფასებისთვის, თუმცა არ ვთვლი, რომ ჩემი თანატოლებისგან რაიმეთი გამორჩეული ბავშვობა მქონდა, არც „განსაკუთრებულობა“ მიგვრძვნია ოდესმე. ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, ცელქი, ცნობისმოყვარე, კომუნიკაბელური, ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელი თვისება იყო იმის მიზეზი, რომ მყავდა როგორც ასაკით უმცროსი, ისე ჩემზე გაცილებით უფროსი მეგობრები. მათთან ურთიერთობამ ძალიან ბევრი ჩევაზე ბევრი არ მიფიქრია, უსამართლობას ვერასოდეს ვეგუებოდი და ბაბუას კვალს გავყევი. სამწუხაროა, რომ ის ვერ მოესწრო, მჯერა, ნამდვილად გაუხარდებოდა და ჩემი ყველაზე დიდი ქომაგი იქნებოდა. რაც შეეხება სამსახურებს–ეს საჯარო ინფორმაცია გახლავთ და ნებისმიერს შეუძლია ნახოს. ვიმუშავე ჩემი სპეციალობით სხვადასხვა პოზიციაზე პროკურატურაში, ფინანსურ პოლიციაში სხვადასხვა ქალაქში. ყოველთვის მინდოდა ჩემი სამუშაო ხობთან ყოფილიყო კავშირში, თუმცა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ასე არ მოხდა.

უდავოა, რომ ადამიანის ჩამოყალიბება ძირითადად ოჯახში ხდება. ახლა, უკვე, თავად ბრძანდებით მეუღლე და მამა, რას ნიშნავს თქვენთვის ოჯახი, შვილების აღზრდაში რას ანიჭებთ პრიორიტეტს, რას საქმიანობენ შვილები?

–ურთულესია იურისტის პროგაუჭირდეს მის გულშემატკივარს? თუ საჭირო იქნება ამგვარი ცვლილება, ზუსტად ვიცი, რომ ეს იქნება მუნიციპალიტეტის საუკეთესო ინტერესებისთვის, ათასჯერ აწონილ-გაზომილი, შეჯერებული გუნდთან და არა მიკერძოებული ან ემოციებზე დაფუძნებული.

ცდუნებას რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ ადამიანი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაზე, იმთავითვე იაზრებს იმ პასუხისმგებლობას, რაც თან სდევს ამ თანამდებობას. ჩემი გადაწყვეტილებაც, მიმეღო მონაწილეობა არჩევნებში, სრულად გააზრებული და გაცნობიერებული ნაბიჯი იყო, ცდუნებას აყოლილი არასდროს ვყოფილვარ და შესაბამისად, მზად ვარ, ვიმოქმედო მხოლოდ ჩემი მუნიციპალიტეტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

უახლოეს დღეებში ახალარჩეულმა საკრებულომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უნდა საძლებლობების განვითარებაში შეუწყობს ხელს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გარდა პრიორიტეტული მიმართულებებისკენ საბიუჯეტო თანხების მიმართვისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ქმედითი ფუნქციონირებისთვის დიდ შრომას ეწევიან, სანაცვლოდ კი ხშირად დაუმსახურებელ კრიტიკას იღებენ. ვგულისხმობ საჯარო სექტორში დასაქმებულ მოსამსახურეებს, რომელთაც უკანასკნელი წლების განმავლობაში შრომის ანაზღაურება არც კი გაზრდიათ. სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული სწორი და დროული მიდგომის მსგავსად, ვგეგმავთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების რეგულირებასაც.

საინტერესოა თქვენი აზრი პრემიერის ახალ ინიციატივაზე-სოციალურად დაუცველთა დასაქმების შესახებ. რო სრულად უნდა იყოს მორგებული მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებზე, სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტული მიმართულებები მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციის და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შედეგად განისაზღვრება.

ბატონო დავით, ყველა ახალარჩეული ხელმძღვანელი თავისი გუნდით მოდის ხელისუფლებაში. ხომ არ უნდა ველოდოთ სავარაუდო საკადრო ცვლილებებს?

–საკადრო ცვლილებები ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, თუმცა ეს ფაქტორი არ გამორიცხავს ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას. ჩემთვის უმთავრესია ის, რომ ყველა რგოლს შედეგზე ორიენტირებული, კომპეტენტური და პროფესიონალი პირი განაგებდეს.

თქვენ რომ ჟურნალისტი იყოთ, რა კითხვას დაუსვამდით ახალარჩეულ მერს?

–ვფიქრობ, ყველა ადამიანს, ვი-

გორ მოხერხდება მისი განხორციელება რეგიონებში?

–მათი უშუალო ჩართულობით, დახმარებითა და მზადყოფნით, აუცილებლად მოხერხდება ინიციატივის სათანადოდ განხორციელება. ცხადია, ინდივიდუალურად განვიხილავთ ყველა ვაკანსიას და მაქსიმალურად ვეცდებით, სამუშაო პირობებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, დავეხმაროთ სოციალურად დაუცველ პირებს დასაქმებაში. ამასთან, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ვეცდებით შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი.

მუნიციპალიტეტის განვითარებაში, უპირველესად რას მიაქცევდით ყურადღებას?

–მუნიციპალიტეტის სწორი მიმართულებით განვითარება მეტად კომპლექსური საკითხია, რაც რამდენიმე მიმართულებით საჭიროებს მუშაობას. ბევრ სხვა მიმართულებასთან ერთად, უპირველესად ყურადღება მიექცევა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ჯანდაცვას, განათლებას, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მიმართულებებს. ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდების წარმოჩინებას, ხელშეწყობას და დასაქმებას. მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა, საც გული შესტკივა საკუთარ მუნიციპალიტეტზე, ბევრი კითხვა აქვს მის ხელმძღვანელთან, თუმცა ერთი კითხვის დასმის შესაძლებლობა რომ მქონდეს, ვკითხავდი, როგორია მისი ოცნების ხობი.

ჩემი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მინდა ვუსურვო ბედნიერი შობა-ახალი წელი, წინსვლა, წარმატება, ბარაქა და დოვლათი ოჯახში, გამრავლება და კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა. ვპირდები, რომ მაქსიმალურად ვეცდები ვიყო თითოეული მათგანის გვერდით, სრულად გამოვიყენებ მერის ადამიანურ და მატერიალურ რესურს მუნიციპალიტეტის წინსვლისთვის.

ვითანამშრომლოთ, ვიმეგობროთ, ერთად დავსახოთ საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის გზები. გავუფრთხილდეთ ადამიანურ ურთიერთობებს და სიყვარულით ვაკეთოთ საქვეყნო საქმე. თუ გვერდით დამიდგებით, გპირდებით, რომ ჩემი, როგორც მერის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ჩვენი მუნიციპალიტეტი ძალიან ახლოს იქნება ჩვენი ოცნების ხობთან.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა.

რამ მასწავლა. ძალიან მიყვარდა სპორტი და ხშირად ვიღებდი მონაწილეობას სპორტულ შეჯიბრებებში, ბევრი წარმატებაც მქონდა. რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ჩვენთან ყოველთვის პრიორიტეტული იყო განათლება და წიგნიერება, სწორედ ოჯახური გარემო გახლდათ ამის „მიზეზი“ და საფუძველი. მამა ყოველთვის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა და ჩვენ–მე და ჩემი და მარიკა მას ფაქტობრივად ვერ ვხედავდით. დილით ძალიან ადრე გადიოდა სახლიდან და გვიან ბრუნდებოდა. ჩვენი აღზრდის მთელი „სიმძიმე“ დედაზე გადადიოდა, მანაც ამ მიზნით მიატოვა ბაგა-ბაღში აღმზრდელად მუშაობა. დიდი გავლენა ჰქონდათ ბებიას და ბაბუას, ორივე სამაგალითო პიროვნება იყო ჩვენთვის. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა მქონდა ბაბუა დავით ჯანჯღავასთან, რომელიც წლები რაიონის მოსამართლე გახლდათ. ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ იგი გამორჩეული ადამიანი იყო– გაწონასწორებული და აკურატული, ჩვენც გვაჩვევდა წესრიგს, ბავშვობიდანვე გვინერგავდა საზოგადოებაში ქცევის წესებს, გვაჩვევდა თავისუფალ, კრიტიკულ აზროვნებას. ჩვენი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი იქონია უმდიდრესმა საოჯახო ბიბლიოთეკამ, ალბათ, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ წიგნი დღემდე ჩვენი საუკეთესო მეგობარია.

სტუდენტობის პირველი წელი სოხუმში გავატარე, დანარჩენი თბილისში. ამან ჩემი სამეგობრო წრე ერთიორად გაზარდა, ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ეს ადამიანური ურთიერთობები და მიხარია, რომ შევძელი მათი შენარჩუნება. არ დაგიმალავთ, პროფესიის არფესია–არანორმირებული სამუშაო დრო დეფიციტს გიქმნის ოჯახთან, ახლობლებთან ურთიერთობისას. ჩემი ოჯახი ჩემი ციხე-სიმაგრეა, აქ ვარ ყველაზე მშვიდი, ყველაზე ბედნიერი. მეუღლე, სოფიკო გოგია, ჩემი ღირსეული თანამგზავრი და თანამოაზრეა. მან კარგად იცის ჩემი გრაფიკის შესახებ და საკუთარ თავზე იღებს ბევრ საქმეს, ვთვლი, რომ სწორედ ურთიერთპატივისცემა არის ჩვენი ოჯახის სიმტკიცის გარანტი. ორი შვილი გვყავს–მარიამი, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი და ასევე წარჩინებით მაგისტრატურა, სტუდენტობის წლებიდან მუშაობს და სამეცნიერო მიმართულებით გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას.

გიორგი–ჯერ მოსწავლეა და კომპიუტერული მეცნიერებები აინტერესებს. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან გამიმართლა და ბედნიერი მამა ვარ.

ბატონო დავით, რა განცდაა როდესაც მშობლიური მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ხართ, მისი ჭირ-ვარამის მონაწილე და გამზიარებელი. არ გაგიჭირდებათ რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება? მოსალოდნელ ადამიანურ ცდუნებაზე რას იტყვით?

–საკმაოდ რთულია პირად განცდებზე საუბარი, როცა საქმე მშობლიურ მუნიციპალიტეტს ეხება. ვფიქრობ, ასეთი განცდები მხოლოდ ოჯახის მიმართ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, პასუხისმგებლობა კი გაცილებით დიდია. მე, პირველ რიგში, ჩემი მუნიციპალიტეტის გულშემატკივარი ვარ, რადიკალური ცვლილებების მიღება, თუკი ეს მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ, მისი უკეთესი მომავლისთვის კეთდება, რატომ უნდა ***დაამტკიცოს. რით განსხვავდება 2022 წლის ბიუჯეტი წინამორბედისგან, რა დარგებია პრიორიტეტული?***

–ადგილობრივი ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტია, ამდენად, უკიდურესად მნიშვნელოვანია რომ იგი იყოს როგორც მუდმივად მზარდი, ასევე სწორად გათვლილი და მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე მორგებული. მით უმეტეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირ მოსახლეობაზე და მის კეთილდღეობაზე უნდა იყოს აქცენტირებული, რაც უპირველეს ყოვლისა, ბიუჯეტმაც უნდა დაადასტუროს.

2022 წლის ბიუჯეტი 2021 წლის ბიუჯეტთან შედარებით, ჯამურად, თითქმის 36 პროცენტით იზრდება. 63 პროცენტით არის გაზრდილი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხარჯები. რაც წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯზე. 177 პროცენტით იზრდება კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯები, იზრდება განათლების, კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ასიგნებები, რომელთაგან მხოლოდ ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 118 პროცენტით მეტია გათვალისწინებული ვიდრე 2021 წელს. 14 პროცენტამდე იზრდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული ხარჯები.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ძირითადი აქცენტი კეთდება მუნიციპალიტეტში ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, რაც მოსახლეობას საკუთარი შე-

ვლადიმერ ქანთარია–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



დაიბადა 1950 წლის 23 ნოემბერს ქალაქ ხობში.

1967 წელს დაამთავრა ქალაქ ხობის №2 საშუალო სკოლა.

1986-1974 წ.წ.–ქ. კიევის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. პროფესიით ექიმ-თერაპევტია.

1977-1982 წ.წ.–ფოთის ქალაქის საავადმყოფო, ექიმი–თერაპევტი.

1982-1985 წ.წ.–ხობის რაისანეპიდსადგური, მთავარი ექიმი.

1985-1987 წ.წ.- ხობის რაისაავადმყოფო, ექიმი-თერაპევტი.

1987-1989 წ.წ.–ქ. თბილისის ექსპერიმენტალური და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ორდინატორი.

1989-1995 წ.წ.–ხობის რაისაავადმყოფო; თერაპიული განყოფილების გამგე.

1995-2012 წწ.–შ.პ.ს. ხობის რაიცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი.

2012-2017 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წამყვანი სპეციალისტი ჯანდაცვის საკითხებში.

2017–2021 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ია ჯიშკარიანი–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე

დაიბადა 1980 წლის 22 მაისს ქალაქ ხობში.

1997 წელს წარჩინებით დამთავრა ახალი ხიბულის საშუალო სკოლა.

1999-2004 წ.წ.–ჩუვაშეთის რესპუბლიკის ქ. ჩებოქსარში ი.ნ. ულიანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობით, ფსიქოლოგის მეცნიერების მაგისტრი.

სამუშაო გამოცდილება:

2006-2008 წ.წ.-შპს „ჰაუს სტილი“ დირექტორი.

2012 წლიდან ხობის რაიონის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზაცია.

2015-2017 წ.წ. ხობის რაიონის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2017 წლიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი და ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2017-2021 წწ.- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ლევანი ლიპარტია–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

დაიბადა 1978 წლის 8 იანვარს ქალაქ ხობში.

1994 წელს დაამთავრა .ნოჯიხევის საშუალო სკოლა.

1994-1998 წ.წ.–საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, ეკონომისტ–მენეჯერი.

სამუშაო გამოცდილება:

1999–2006 წ.წ.–კარანტინის ინსპექტორი, მცენარეთა დაცვის სამსახურის ფიტოსანიტარული კარანტინის ინსპექცია.

2010 წ.წ.–საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხობის რაიონული განყოფილება. მენეჯერი სამეურნეო დარგში.

2010–2014 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წამყვანი სპეციალისტი ნოჯიხევის ტერიტორიულ ერთეულში.

2014–2015 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.

2015-2017 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა. გამგებლის წარმომადგენელი ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.

2017–2021 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის მერია. მერის წარმომადგენელი ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

მალხაზი იოსავა–ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე

დაიბადა 1972 წლის 28 დეკემბერს ქალაქ ხობში.

1989 წელს დაამთავრა ქალაქ ხობის №1 საშუალო სკოლა.

1989-1994 წწ.–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომისტი, ეკონომიკის დიპლომირებული სპეციალისტი

1995–1996წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საპრივატიზაციო ბარათების აღმასრულებელი სამსახურის უფროსი.

1996–2002 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

2010–2011 წწ.–შ.პ.ს. „ხობის დასუფთავება და განათება“, გარე განათების მენეჯერი.

2012 წლიდან–დღემდე ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ ხობის „კოლხეთის“ გულშემატკივართა და ქომაგთა კლუბი“ დამფუძნებელი.

2014–2016 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მუნიციპალური პროგრამების მართვის, სტატისტიკური აღრიცხვისა და ტრანსპორტის რეგულირების განყოფილება.

2016–2021 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი.

ჰყავს ერთი შვილი.

„სამსახურებრივ თვისუფლებაში არ ვიზღუდებით“

ელისო კვიკვინია–მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი

ქალბატონო ელისო, საკმაოდ დაძაბული წელიწადი (პანდემიის გამო), დღეებს ითვლის. სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობთ მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უდიდესია. გთხოვთ, მოკლედ შეაფასოთ ურთულესი 2021 წელიწადი.

–ჩვენი სამსახური წარმოადგენს მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების მართვას, ასევე სამსახურის კომპენტენციისთვის განკუთვნილ სფეროში მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების ღონისძიებების მართვასა და კოორდინაციას. კულტურული ძეგლების პოპულარიზაციას, მათი მნიშვნელობისა და ღირებულებების შესახებ კონფერენციების ჩატარებას, საჯარო სკოლების ტრანსპორტირებით მომსახურების კოორდინაციას „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში...

სამსახურის საქმიანობის უზრუნველყოფა ხორციელდება ამავე სამსახურზე დაქვემდებარებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებთან კოორდინაციით.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრი“ (დირექტორი კობა კობახიძე);

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“ (დირექტორი ბეჟან ბერაია);

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ (დირექტორი ეკა ხასია).

შევეცდები დარგების მიხედვით ვისაუბრო.

კულტურა

პანდემიის გამო, 2021 წელს სრულიად განსხვავებულ გარემოში მოგვიწია მუშაობა. უმნიშვნელოვანესი იყო ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამ მიზნით სრულიად შეიცვალა კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების სქემები, რადგან თავშეყრა ინფექციის გავრცელების წყაროდ არ ქცეულიყო.

ახალი კოვიდინფექციის გავრცელებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების ჩატარების საკითხი. სამსახურმაც, ახალი გამოწვევების შესაბამისად, განახორციელა საქმიანობა. 2021 წელს დაგეგმილი კულტურული ღონისძიებებიდან მხოლოდ რამდენიმე ღონისძიება ჩაატარა.

ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, 2021 წლის 20 ივნისს, საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებისადმი მიძღვნილი კონცერტი ჩატარდა. კონცერტში მონაწილეობდა ბენდი ,,UNDER 7“ და დიჯეი.

9 მაისს აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავი. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მივაგეთ და ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში–,,ხსოვნის ველზე“ მდებარე სიმბოლური საფლავები ყვავილებით შევამკეთ.

14 ივლისს ქალაქ ხობის ცენტრალურ პარკში გაიმართა კლასიკური მუსიკის შემეცნებითი ლექცია-კონცერტი, რომელიც ჩაატარა კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ელისო ვირსელაძე), საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით, პროექტ „კლასიკური მუსიკის კონცერტები ალტერნატიულ სივრცეებში საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქის“ ფარგლებში. კონცერტში მონაწილობდა გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი.

16 ივლისს ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში გაიმართა ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის „მარიტა“ ჩვენება.

13 ოქტომბერს ხობის ცენტრალურ პარკში გაიმართა მგალობელ-მომღერალთა გუნდის „დიდგორი“ კონცერტი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის „თვითმოქმედი ანსამბლების ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტის „მგალობელ-მომღერალთა გუნდ დიდგორის საკონცერტო ტურნე“.

დაგეგმილია მრავალფეროვანი საახალწლო ღონისძიებების ჩატარება.

განათლება

ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლიდან სრულად რეაბილიტირებულია შუა ხორგის ახალი საბავშვო ბაღი, მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

კეთილმოეწყო შავღელესა და ახალი ხიბულის საბავშვო ბაღების ეზოები. ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღში კი სველი წერტილი მოწესრიგდა და აივანი მიშენდა.

პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, კეთილმოეწყო ეზო. ძალიან მალე ამ სოფლის აღსაზრდელები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებულ საბავშვო ბაღში იზეიმებენ ახალმოსახლეობას.

სკოლამდელმა სააღმზრდელო გაერთიანებამ სტრუქტურული ერთეულების აღმზრდელ-მასწავლებლებისთვის ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინტიტუტის თანამშრომლობით შექმნილი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები „ადრეული განათლების კურიკულუმი-თამაში“ (I-II ნაწილი) და რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს“, შეიძინა და შემდგომ ეტაპზე ტრენინგის ჩატარებით უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვას.

ამჟამად სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში აღმზრდელ- პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის სასერტიფიკაციო კურსი მიმდინარეობს. სასწავლო კურსი ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების“ ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. ტრენინგის მონაწილეები, ბარიერის გადალახვის შემდეგ, აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსს მიიღებენ.

დაიწყო გაერთიანებაში შემავალ 25 სტრუქტურულ ერთეულში სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა HACCP დანერგვა სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და გადამზადდა 85 თანამშრომელი.

ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ შესაბამისად, ბავშვთა კვებითი ღირებულება შეადგენს 1 292,84 კკალ-ს. სეზონური მენიუების კალორაჟის გათვლით, ერთ ბავშვზე გათვლილი კვების ღირებულება ბიუჯეტით შეადგინს 3, 74 ლარს.

ყოველდღიურ რაციონში შეტანილია მარცვლოვანი პროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, რძე და რძის პროდუქტები, საქონლის გაუყინავი ხორცი, ქათმის გულ-მკერდი, პურ-ფუნთუშეული...

კვებითი რეგლამენტი განსაზღვრულია 2 ძირითადი კვებით (საუზმე, სადილი) და 2 წახემსებით (დილის და შუადღის (სამხარი)).

სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს მათთვის განკუთვნილი რეგულაციების დაცვით.

აუცილებელია საბავშვო ბაღის პერსონალის სრული ვაქცინაცია. დღევანდელი მონაცემებით, გაერთიანებაში დასაქმებულთა 51 % აცრილია. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საბავშვო ბაღის პერსონალსა და აღსაზრდელების მშობლებს, ხელი შევუწყოთ კოვიდ-19 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, რათა ბავშვებს ჰქონდეთ ბაღში სიარულისა და განვითარების შესაძლებლობა.

სპორტი

სპორტს ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მით უმეტეს დღეს მთელ მსოფლიოში, როდესაც პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაა გაჩაღებული . ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება აქტუალურია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. პანდემიის პირობებში, გასათვალისწინებელია კოვიდრეგულაციების დაცვა. სწორედ ამ დამოკიდებულებით, ჩვენი სამსახურის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებსა და ტურნირებში აქტიურად ჩაერთვნენ როგორც სპორტსმენები, ასევე მოყვარულებიც.

2021 წელს დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების ნაწილი შესრულდა, ნაწილი კი ვერ განხორციელდა კოვიდ-19-ის პანდემიის ტალღების მომძლავრების გამო.

კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცენტრთან კოორდინირებით ჩატარდა ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით:

აგვისტოს გმირების–დათა ხურცილავას, გოგა ბერაიას, ზვიად დათუაშვილის, ლევან ტურავასა და გოგა ჭითანავას სახელობის ტურნირები მინი ფეხბურთში.

26 მაისისადმი მიძღვნილი ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა ფეხბურთში; კობა შუბითიძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში; 7X7 მოყვარულ ფეხბურთელთა თამაშები(მუნიციპალური და რეგიონული, რესპუბლიკური თამაშები); ოლიმპიური სპორტის დღისადმი მიძღვნილი პირველობები ნარდში, მაგიდის ჩოგბურთსა და 3X3 კალათბურთში;

ევროპული სპორტის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ჭადრაკის მუნიციპალური პირველობა. ბერძნულ-რომაულ, სამბოს, ტაეკვონდოს, კრივის, მძლეოსნობის, ძიუდოს სახეობებში სპორტსმენთა წარმატებული ასპარეზობები. (ჯონი ხეცურიანი, ანა ხუნჯუა, დემურ ქაჯაია, ვახტანგ ლოლუა...).

ხობის „კოლხეთის“ ქალ ფეხბურთელთა გუნდის წარმატებული ასპარეზობა საქართველოს ჩემპიონატში(მესამე საპრიზო ადგილი); ბათუმის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი; ხობის „კოლხეთის“ ასპარეზობის შედეგი საქართველოს პირველობაზე მესამე ლიგის გათამაშებაში(მე-9 ადგილი 14 მოასპარეზეთა შორის).

მსოფლიოს მესამე პრიზიორი გახდა ნუგზარ წურწუმია ბერძნულ- რომაულ ჭიდაობაში.

საახალწლოდ იგეგმება ,ადგილობრივი თვითმართველობის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება.

20 აპრილს ხობის (ხეთის) საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „მაჩხომერის“ და „ჯეგეთას“ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი არტეფაქტების გამოფენა მოეწყო. მუზეუმში მისულ დამთვალიერებლებს გიდობას ისტორიკოსი და არქეოლოგიური გათხრების მონაწილე, გოგიტა ჩიტაია უწევდა.

„მაჩხომერისა“ და „ჯეგეთას“ არქეოლოგიური გათხრების მასალებმა ქართველი და უცხოელი მეცნიერების დიდი ინტერესი გამოიწვია.

„მაჩხომერის“ არქეოლოგიურმა ობიექტმა საერთაშორისო ხასიათი შეიძინა.

ქვეყანაში მიმდინარე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, არაერთი ახალგაზრდული პროექტი განხორციელდა.

8 ხობელმა ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო, I see you-გაიცანი მსოფლიო და განავითარე შენი რაიონი/ქალაქი“–„ქართული კულტურის დღეები მესტია-2021“ პროექტში, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას რაიონის/ქალაქის განვითარების პროცესში და მათი ლიდერული უნარჩვევების აქტუალიზებას, რაც მათი, ცხოვრებისეულ სარბიელზე, წარმატების საწინდარია.

ხობის მუნიციპალიტეტსა და

6

5

ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრმაში ჩვენი მუნიციპალიტეტის მონაწილეობას.

,,მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით ხელი შეეწყო ახალგაზრდობის კოორდინატორების გადამზადებას.

ახალგაზრდობის სააგენტოს დაკვეთით, საქართველოს 10 რეგიონსა და 31 მუნიციპალიტეტში, ჩატარდა კვლევა „ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“. კვლევა ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტშიც, სადაც გამოიკითხა 150 ადამიანი და გამოვლინდა არსებული პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა დგას. შეიქმნა ხობის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომელმაც უნდა შეასრულოს შუამავლის როლი ახალგაზრდებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის.

თქვენ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას. რა დახმარებას უწევთ ამჟამად და რა შეიცვალა თქვენი ხელმძღვანელობის შემდეგ?

–სკოლამდელი მიმართულება ჩემთვის მეტად საინტერესოა, ბევრი ტკბილი მოგონება და მწარე გამოცდილება მაკავშირებს ამ ორგანიზაციასთან. ეს არის პროფესიონალურად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობა, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა და მოვალეობა აკისრია მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში.

მე ძალიან რთული გზის გავლა მომიწია. საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა არასახარბიელო მდგომარეობაში იყო, ბავშვთა კვება არაკალორიული გათვლით. საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ქალბატონ დოდო გაბუნიას უშუალო მონაწილეობით გაუმჯობესდა სიტუაცია კვების რაციონის კუთხით. შემდეგ კი დაინერგა კვების ტექნიკური რეგლამენტი, რომელმაც მოაწესრიგა კალორიული კვების საკითხი საბავშვო ბაღებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. სკოლამდელ დაწესებულებებში გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, მოეწყო კვების ბლოკები, აღმზრდელ-მასწავლებლები გადამზადნენ, ყველა ბაღში ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა... გაერთიანებას ხელმძღვანელობს ნიჭიერი, საიმედო ქალბატონი ეკა ხასია. ჩემი გამოცდილება თუ დასჭირდებათ, მე ამისთვის ყოველთვის მზად ვარ.

ქალბატონო ელისო, თქვენ საზოგადოება გიცნობთ, როგორც მაღალპასუხისმგებლიან პიროვნებას. ბავშვობიდან ასეთი იყავით, თუ?

–ნებისმიერი საქმე, მარტივი იქნება თუ რთული, მინდა ყოველთვის დროულად და ხარისხიანად შევასრულო. ბავშვობაშიც ასე ვუდგებოდი ამ საკითხს და, შესაბამისად, გამომიმუშავდა ეს უნარი.

პასუხისმგებლობას საქმის სიყვარული და პრინციპულობა განაპირობებს?

–გეთანხმებით. ნებისმიერ საქმეს კეთილი გულითა და წრფელი სიყვარულით უნდა ვასრულებდეთ. თუ საქმე ჩვენთვის ტვირთია, მაშინ არ მიიღწევა მაღალი ხარისხის შედეგი. მახასიათებს პრინციპულობა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეზე.

კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს ყოველდღიურობას.

–ღვთის სიყვარული, სიკეთე და ერთგულება.

როგორია ელისო კვიკვინია ოჯახსა და მეგობრებში? რა არის თქვენი ,,სუსტი“ წერტილი?

–ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს და გულშემატკივრობს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს.

სრული თავისუფლება რომ გქონდეთ, რას შეცვლიდით თქვენს სამსახურეობრივ საქმიანობაში?

–ჩემი სამსახურეობრივი საქმიანობა ითვალისწინებს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. სამსახურეობრივ თავისუფლებაში არ ვიზღუდებით. გვაქვს ისეთი პროექტები, რომელთა განხორციელება ახლო პერსპექტივაში შესაძლებელია. პირველ რიგში ვისურვებდი შემოქმედებითი ჯგუფების არსებობას.

რას ისურვებდით და უსურვებდით ხობელებს საახალწლოდ?

–ტკბილად და ბედნიერად შემობრძანებულიყოს ახალი წელი თითოეული ჩვენგანის ოჯახში. ვისურვებდი პანდემიის დასრულებას. მეგობრულ ურთიერთობებსა და წარმატებებში გაგვეტარებინოს 2022 წელიწადი.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

ნომრის სტუმარია: ლევან ლიპარტია–ბიისა და ნოჯიხევის მაჟორიტარი დეპუტატი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

„მზად ვარ ყველას აზრი მოვისმინო და მივიღო“

ბატონო ლევან, გვიამბეთ თქვენზე?

–საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის, სამეგრელოს მკვიდრი გახლავართ. დავიბადე და გავიზარდე ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.

დავამთავრე ნოჯიხევის საჯარო სკოლა. მიყვარს ჩემი სოფელი, აღმზრდელი მასწავლებლები, კლასელები. ყოველი დღე მაკავშირებს მათ ცხოვრებასა და სულისკვეთებასთან. ერთი დღეც არ მიცხოვრია სხვაგან. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ კიდევ უფრო მძაფრად გამოვხატო ის შერწყმა, რასაც ტრადიციულ მეგრულ ოჯახში აღზრდა გულისხმობს. ანუ მამა-პაპისეული ოჯახის არმიტოვება ჩემი პრეროგატივაა.

მივიჩნევ, რომ მყავს ძალიან კარგი ოჯახი, წესიერებით და პატიოსნებით გამორჩეული მშობლები, სანაქებო ნათესავები, შესანიშნავი მეზობლები და ყველაზე მთავარი, კარგი თანასოფლელები.

მოკლედ და კონკრეტულად, მამით ნოჯიხეველი და დედით ბიელი ვარ (იცინის). ისე მოხდა რომ, როგორც ოჯახში არის შერწყმა ნოჯიხეველ-ბიელობის, ასევე დაემთხვა ჩემი საქმიანობაც და გახლავართ ორი ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

მიზეზი, რისთვისაც გადაწყვიტეთ ყოფილიყავით პოლიტიკაში. ეს თქვენი მოწოდება იყო თუ?

–ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკაში მოსვლა ვინმესთვის მოწოდება იყოს. ამას სიტუაცია განაპირობებს, დრო, შეჩვევა და სურვილი სხვისთვის რამე ღირებულის კეთების.

ჩემს შემთხვევაშიც ასე აეწყო. თავიდან დავინიშნე ნოჯიხევის რწმუნებულად. იმ განვლილმა წლებმა და საქმიანობამ კიდევ უფრო დამაკავშირა ჩემი სოფლის პრობლემებთან, ახალ გამოწვევებთან. შევისწავლე თითოეული დასახლებული უბნის, ტერიტორიის და ოჯახის სატკივარი. ვეცადე შესაძლებლობის ფარგლებში დაუზარლად დავდგომოდი გვერდში ჩემს თანასოფლელებს და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მეკეთებინა საქმე, რომელიც მათ პირობებზე, მოთხოვნებზე და სურვილებზე გადიოდა.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

პოლიტიკური საქმიანობა ერთგვარი აზარტია. როცა ყოველი კუთხე-კუნჭული შესწავლილი გაქვს, იცი ყოველი ოჯახის საარსებო შესაძლებლობა, გიჩნდება სურვილი უფრო მეტად იზრუნო მათზე, მერე უკვე გიჭირს შორიდან ამის ყურება და სხვისთვის მინდობა.

ნოჯიხეველებმა ზუსტად და სწორად გაიგეს ჩემი მონდომება, გულისტკივილი და არჩევანიც ჩემზე შეაჩერეს. კიდევ ერთხელ მადლობა მათ ამისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ბიელებს. მოსახლეობის არჩევანი მაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ვიმოქმედო იმისთვის, რომ გავამართლო მათი მოლოდინი.

რა არის აუცილებელი თქვენს საქმიანობაში საუკეთესო შედეგის მისაღწევად?

–მთავარია გიყვარდეს ხალხი, მუნიციპალიტეტი და გქონდეს სახელისუფლებო გუნდის მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია მოქალაქეებთან ინტენსიური შეხვედრები, ახლო კომუნიკაცია, უშუალოდ ესაუბრო განხორციელებულ, მიმდინარე და სამომავლო პროექტებზე, მოისმინო მათი მოსაზრებები. საჭიროა შეიქმნას თანაბარი პირობები. ამისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ჩვენი საზოგადოების ყველა წარმომადგენლის აზრი და საჭიროება.

გრძნობა, რომელიც ყოველი წარმატების შემდგომ გეუფლებათ?

–უდიდესი პასუხისმგებლობა, მეტი მონდომება და სურვილი აკეთო მეტი სიკეთე.

ყველაზე წარმატებული პროექტი, რომელიც თქვენი მუშაობის პერიოდში ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა, რას უნდა ველოდოთ მომავალში?

–კონკრეტულ პროექტს ვერ გამოვყოფ. რადგან ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. ეს იყო მმართველი გუნდის, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის თუ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელების დახმარებით. მოხდა ადმინისტრაციული ერთეულის სრული გაზიფიცირება, სხვადასხვა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება და სხვა.

გასაკეთებელი ნამდვილად ბევრია. ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა და მხარდაჭერა უდაოა, გუნდის საერთო ძალისხმევა ფაქტია, ჩემი მონდომებაც სახეზეა და როცა ეს ყველაფერი ასე აწყობილად ვითარდება, სოფლის ცხოვრებაც უმჯობესდება.

ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობ ჩვენი მომავალი თაობის ხედვებსა და მოსაზრებებს. უფრო მეტიც, ძალიან მინდა ახალგაზრდებმა გამიზიარონ თავიანთი ჩანაფიქრები, მომაწოდონ იდეები.

ასევე, მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობა. განსაკუთრებული უნარი შესწევთ ქალბატონებს კონცენტრირდნენ დეტალებზე. ამიტომ მათი აზრი მნიშვნელოვანია, რაც კიდევ უფრო უკეთესად დაგვანახებს არსებულ გამოწვევებს. ასე, რომ მზად ვარ ყველას აზრი მივიღო და გავითვალისწინო.

ქალბატონები ახსენეთ. დარწმუნებული ვარ ეს თემა ყველაზე მახლობელია თქვენთვის, რადგან დიდი ოჯახის თავკაცი, ოთხი ქალიშვილის მამა ბრძანდებით. რამდენად იცლით მათთვის?

–დამეთანხმებით, ხუთი ქალის „მორჯულება“ და თავკაცობა იოლი საქმე ნამდვილად არ არის. ოჯახი მაძლიერებს. მეუღლე არის ჩემი ცხოვრების სტიმული. პატარა „კუდრაჭები“ კი ჩემი საქმიანობის ყველაზე დიდი „კრიტიკოსები“. ვცდილობ, ვიყო კარგი მამა და მეუღლე. საერთო გადასახედიდან მათ უკმაყოფილებას ვერ ვატყობ. მყავს დიდი ოჯახი, ამისთვის და ყოველი გათენებული დღისთვის ვმადლობ უფალს.

თქვენი წინასაახალწლო სურვილები.

–ჩემს ხალხს და სრულიად მსოფლიოს პირველ რიგში ვუსურვებ პანდემიის მალე დამარცხებას, ჯანმრთელობას, ეკონომიურ სიძლიერეს, ხვავსა და ბარაქას ოჯახებში.

ყოველთვის მაქვს უფლის იმედი და ვგრძნობ მის წყალობას.

ვისურვებდი ყველა ოჯახს ჰქონდეს ღვთის მადლი და შემწეობა.

ესაუბრა
ჯულიეტა ლატარია.

„ჯერროდეთ, ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება...“

ვლადიმერ ქანთარია–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



მოგესალმებით. მიამბეთ იმაზე, რაც გაიფიქრეთ კითხვის დასმამდე?

–მოგესალმებით, პირველ რიგში გილოცავთ კარზე მომდგარ შობა-ახალ წელს, ღმერთმა მოგმადლოთ ჯანის სიმრთელე, ბედნიერება, სიხარული და სიყვარული.

ბატონო ვლადიმერ, ამჟამად ისევ გილოცავთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატობას. გთხოვთ, მოიგონოთ ის მომენტი, როდესაც პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტეთ?

–მადლობას გიხდით მოლოცვისთვის, მე უკვე მეორედ ვხელმძღვანელობ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას. ეს დიდი პასუხისმგებლობაა. მინდა მადლობა გადავუხადო კოალიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გუნდს ნდობისთვის. ჩემთვის პატივია გავაგრძელო მუშაობა ხალხის სამსახურში, მივიღო მონაწილეობა მუნიციპალიტეტის განვითარებაში და ჩემი წვლილი შევიტანო ხობის აღმშენებლობის საკითხში.

თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს იდეალური პოლიტიკოსი? საკუთარ თავზე რას იტყვით?

–პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, პოლიტიკოსი უნდა იყოს უზომოდ განათლებული და პროფესიონალი თავის საქმეში. ყველა პოლიტიკოსს უნდა უყვარდეს თავისი ამომრჩეველი, უნდა იყოს მეგობრული, პატიოსანი, მორწმუნე, თავაზიანი, ზრდილობიანი, რადგან ადამიანებმა მასთან ურთიერთობის დროს თავი კარგად იგრძნონ. მან თავისი ძალაუფლება უნდა გამოიყენოს კარგი საქმეების საკეთებლად და ხალხის საკეთილდღეოდ. ყველანაირად უნდა შეეცადოს, რომ გაუმჯობესოს ქვეყნის ცხოვრების დონე, საზოგადო ინტერესი საკუთარ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს. თანაგრძნობით მოეკიდოს სხვა ადამიანების იდეებს, აზრებს და პატივი სცეს თითოეული ამომრჩევლის სურვილს.

ჩემი აზრით, ზუსტად ამ და სხვა ფასეულობების მატარებელი უნდა იყოს პოლიტიკოსი.

ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ვიყო ჩემი ხალხის გვერდით, ვიყო მათი მოსაზრებებისა და იდეების გამტარებელი და რაც მთავარია, ვუყვარდე და მენდობოდეს ჩემი ხალხი.

მართლია, ყველა გიცნობთ, ხობელების კუმირი ბრძანდებით, როგორც ექიმი, როგორც ადამიანი, მეგობარი. ალბათ დეპუტატის ამპლუაში ყოფნა, კვლავ საინტერესოა თქვენთვის, რადგანაც წინ ახალი საზრუნავი გელოდებათ ხობელთა სასარგებლოდ?

–მადლობა ასეთი შეფასებისთვის. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ჩემს ხალხს, ჩემს ხობელებს მივუძღვენი, ვცდილობდი მუდამ მდგარვიყავი თითოეული ხობელის გვერდით, ვყოფილიყავი საიმედო მეგობარი, კარგი ექიმი და უბრალოდ, მათი ვოვა ქანთარია. ასე მოვედი დღემდე, მე მათი სიყვარული მაძლიერებდა და მაძლიერებს, მათმა მხარდაჭერამ მომიყვანა დღემდე და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ პლატფორმიდანაც ვიყო მათი ინტერესების განმხორციელებელი.

ბატონო ვოვა, რა არის ყველაზე საინტერესო თქვენს საქმიანობაში. რა ხიბლი აქვს პოლიტიკას?

–ზოგადად პოლიტიკა საინტერესო საქმეა, ხვდები ადამიანებს, ეცნობი მათი ცხოვრების სტილს, ისმენ მათ მოსაზრებებს, პრობლემებს, საჭიროებებს, გაქვს ყოველდღიური ურთიერთობა ხალხთან, იცი რა სჭირდება მათ და ცდილობ, მოაგვარო მათი პრობლემები, შენ ხარ დამაკავშირებელი რგოლი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის და როცა ყოველდღიურად გიწევს ხალხთან მუშაობა, ეს სასიამოვნო და საინტერესო პროცესია.

გვიამბეთ თქვენს ლამაზ ოჯახზე.

–მყავს მეუღლე კლარა ქირია, ხობის ევექსის კლინიკის მეან-გინეკოლოგი.

ქალიშვილი ანა ქანთარია, რომელიც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია. გვაქვს ტრადიციული სტუმართმოყვარე ოჯახი.

თქვენი მთავარი ვალდებულება?

–ჩემი მთავარი ვალდებულებაა ყოველთვის ვიზრუნო მეორე ადამიანზე, გავუწიო მას თანადგომა, გავუწოდო მეგობრობის ხელი და ყოველთვის როცა დავჭირდები ვიყო მის გვერდით.

ადამიანი ფასდება იმით, თუ რას აძლევს იგი ადამიანებს და არა წარმატებით ვეცადოთ, ვიყოთ დაფასებული.

როცა ჩვენი მიზანი ამ ქვეყანაზე ფასეულობათა გამრავლება ხდება, ცხოვრების ახალ საფეხურზე ავდივართ.

დამთავრდა არჩევნები. ახლა რა იქნება, რა შეიცვლება საქართველოში, ხობში?

–ჩვენს ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების პირობებში მმართველმა პარტიამ ხალხისგან უდიდესი მხარდაჭერა მიიღო. ეს გამარჯვება ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის ყველაზე ნათელი აღიარებაა. სწორედ ეს გამარჯვება ჩაუყრის საფუძველს განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას.

ხობში დღემდე აქტიურად მიმდინარებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტების განხორციელება, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები მოუგვარდა მოსახლეობას, თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოიხსნა უგზოობის პრობლემა. სასმელი წყალი 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება მოსახლეობას, გაზიფიცირდა სოფლები, პროცესები აქტიურად მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში მთლიანად გაზიფიცირდება მუნიციპალიტეტი. აშენდა და შენდება სკოლები, ბაგა-ბაღები, რეაბილიტირდა ამბულატორიები, მოეწყო სკვერები, საფეხბურთო მოედნები, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გადაეცათ სახლის გადასახური მასალა, ყოველდღიურად საჭიროებისამებრ ვცდილობთ, მოვაგვაროთ მათი პრობლემები.

აქტიურად მიმდინარეობს ხობის ცენტრის რეაბილიტაციის მესამე ეტაპის სამუშაოები, რომელიც მაშტაბურად მოცულობითია. განვითარება და მშენებელობა მომავალშიც გაგრძელდება, კვლავაც ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი პროექტები განხორციელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში და უფრო მეტი პრიორიტეტული საკითხები მოგვარდება.

როგორ ფიქრობთ, დღეს ყველაზე მეტად რა უნდა დააფასონ?

–ყველაზე მეტად დღეს თავისუფლება და ჯანმრთელობაა დასაფასებელი. როდესაც მშვიდად იძინებ და დილით მშვიდად დგები, ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა. უნდა გვიყვარდეს ცხოვრების ყოველი წუთი და დავტკბეთ ამით. მადლობელი ვიყოთ უფლის, რომ გვაქვს მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება. უნდა გვჯეროდეს, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება...

როდესაც ასე ბობოქრობს პანდემია, როგორც ექიმი, რას ურჩევთ და მოუწოდებთ საზოგადოებას?

–კოვიდ-19-მა პანდემიის მიერ გამოწვეული ვითარება გავლენას ახდენს არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაზე. პანდემია მსოფლიო ომია, ამ ომში კი საქართველოც იბრძვის, კოვიდ 19-მა სრულიად შეცვალა თანამედროვე მსოფლიოს მაჯისცემა, უხილავ ომში ბრძოლა ყველაზე რთულია. ჩვენ ჩვენი წილი ომი იმ რეკომენდაციების დაცვით უნდა მოვიგოთ, რასაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია გვირჩევს და მოგვიწოდებს.

აუცილებელია, ხშირად დავიბანოთ ხელები საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით,

დახველების ან დაცემინებისას დავიფაროთ პირის ღრუ მოხრილი მკლავით ან ერთჯერადი ცხვირსახოცით. გამოყენებისთანავე გადავაგდოთ ცხვირსახოცი.

ვერიდოთ ახლო კონტაქტს ნებისმიერ პირთან, ვისაც აღენიშნება გაციების ან გრიპის მსგავსი სიმპტომები.

აუცილებელია პირბადე, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში.

გახსოვდეთ, დროულად მივმართეთ ექიმს, თუ თქვენ ან თქვენს შვილს აქვს მომატებული ტემპერატურა, ხველა ან სუნთქვის გაძნელება და რაც მთავარია, ერთადერთი გამოსავალი ამ ომის მოგებისა არის ვაქცინა.

გავიკეთოთ ვაქცინაცია, რათა გადავარჩინოთ ჩვენი და ჩვენს გვერდში მყოფი ადამიანების სიცოცხლე...

თქვენი საახალწლო სურვილები...

–მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო პირველ რიგში ხობსა და ხობელებს და შემდეგ სრულიად საქართველოს.

ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ დამდეგ დღესასწაულებს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს სიყვარულს და ბევრ პოზიტიურ დღეებს.

თითოეული თქვენთაგანისთვის მოეტანოს სიხარული, სიყვარული, წარმატება და იღბალი, პირბადის გარეშე შევხვედროდეთ ახალ 2022 წელს!

მადლობა ინტერვიუსთვის.

ესაუბრა ნანი კილასონია.

გვწერენ

სამადლობელი



თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მადლობა გადავუხადო ხობის მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მობილურ ჯგუფს, რომლებიც შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე იყვნენ. მეხანძრეებმა პროფესიული მოქმედებით სწრაფად მოახდინეს ხანძრის ლიკვიდაცია და ჩემი საცხოვრებელი სახლის გადარჩენა მოახერხეს.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ წარმატებებს პირად და მოულოდნელობებით სავსე სამსახურებრივ საქმიანობაში. ჯანმრთელობა, სიხარული, ბედნიერება, ხვავი და ბარაქა მოეტანოს 2022 წელს თითოეული თქვენთაგანის ოჯახისთვის.

მადლიერებით

პაატა ქაქუთია,

ნოჯიხევი.

პროფესიული განათლების მიზნები და პრიორიტეტები

ნომრის სტუმარია სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორი ქალბატონი ნინო ბაკურაძე

ქალბატონო ნინო, საქართველოს მთავრობა უმნიშვნელოვანეს ყურადღებას უთმობს პროფესიული განათლების განვითარებას. გვიამბეთ სსიპ კოლეჯ „ფაზისზე?

–სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ მრავალპროფილიანი კოლეჯია, რომელიც სწავლებას ანხორციელებს პროფესიული განათლების ამჟამინდელი გამოწვევებისა და ევროპული თუ სხვა ქვეყნების გამოცდილებების გათვალისწინებით.

„ფაზისში” დანერგილია–აგრარული, ინჟინერიის, წარმოება და მშენებლობის, ბიზნესის, ადმინისტრირება და სამართალის, მომსახურების, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, განათლების, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის, ვეტერინარიის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც მოდულური, ასევე დუალური და ინტეგრირებული სწავლების ფორმებით ორივე ლოკაციაზე-ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. 54 და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელი ნოჯიხევი (სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ფერიდე გოგია).

რა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება კოლეჯ „ფაზისში“?

–კოლეჯში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

ფოთის ლოკაცია–„ფერმერობა მეთევზეობაში“, ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“, „თევზის გადამუშავება“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება“, ‘სამკერვალო წარმოება“, „სარესტორნო მომსახურება“, „სასტუმროს მომსახურება“ (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოდულებით ინტეგრირებული), „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოდულებით ინტეგრირებული), „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, „ელექტროობა“, „თმის მომსახურება“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „შედუღება“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ (მოდულური და დუალური მიდგომით), „საოფისე საქმე“, „საფინანსო სერვისები“, „სკოლამდელი აღზრდა“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „ფლორისტიკა“.

ხობის ლოკაცია–„ელექტროობა“, „თმის მომსახურება“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „ფერმერობა მეთევზეობაში“, „ფერმერი მემცენარე“, „აგრომექანიზაცია“, „მებაღეობა“ (მოდულური და ინტეგრირებული).

რას იტყვით სწავლების ინტეგრირებულ და დუალურ ფორმებზე? სულ რამდენი ადამიანი ეუფლება სწავლებას თქვენს კოლეჯში?

–ინტეგრირებული პროგრამა საშუალებას აძლევს საბაზო (9 კლასი) საფეხურის განათლების მქონე პირს, კოლეჯში სწავლის დასრულების შემდეგ მიიღოს საჯარო სკოლის ატესტატთან (12 კლასი) გათანაბრებული პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და სურვილის შემთხვევაში, სწავლა განაგრძოს სასურველ უმაღლეს სასწავლებელში.

ასევე ძალიან საინტერესოა სწავლების დუალური ფორმა–სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც სტუდენტებისთვის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ქმნის. სწავლა მიმდინარეობს ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში-კოლეჯსა და კერძო კომპანიაში, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად, შეიძინონ გამოცდილება, საჭირო პრაქტიკული უნარები რეალურ სამუშაო გარემოში და დაეუფლონ სასურველ პროფესიას. სწორედ ამიტომ, მათ სწავლის დასრულებისთანავე შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ სამუშაო პროცესში. შესაბამისად, ასეთი კადრი ბაზარზე მეტად კონკურენტუნარიანია.

ფერიდე გოგია

ამ ეტაპზე ორივე ლოკაციაზე სრულად არის ათვისებული, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლების ფართი. პროგრამებს ეუფლება 600-მდე პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 100 -მდე პროფესიული სტუდენტი ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში.

არსებობს სხვა პროგრამებიც?

–კოლეჯი ასევე ანხორციელებს ზრდასრულთათვის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებებით, როგორც სახელმწიფო, ასევე დონორი ორგანიზაციის („გაეროს ერთობლივი პროგრამა–„გენდერული თანასწორობისთვის“) მხარდაჭერის ფარგლებში: ინფორმაციის ტექნოლოგია; ელექტრონული ტექნიკის მონტაჟი და ექსპლუატაცია (ფოთი, ხობი); შედუღება; მძიმე ტექნიკის ოპერატორი; ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება; სასტუმროს და რესტორნის, საზოგადოებრივი არეალის სისუფთავის უზრუნველყოფა სასტუმროს კვებისა და სასმელებით მომსახურება; ქალის თმის შეჭრა–შეღებვა; შედუღება; ძიძა. შინმოვლის სპეციალისტი; ინგლისური ენა. ასევე ხორციელდება სწავლება მოკლევადიანი ტრენინგ კურსების მიმართულებით.

გარდა სწავლებისა, ტექნიკური მხარე თუ შეივსო სიახლეებით?

–კოლეჯში 2021 წელს ექსპლუატაციაში შევიდა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ აშენებული სახელოსნოების (მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის და ძრავის შეკეთების, შედუღების) კომპლექსი (ფოთი), ასევე, გერმანიის საქველმოქმედო ორგანიზაცია “ებერჰარდ შიოკის” საქველმოქმედო ფონდის მიერ აშენებული და აღჭურვილი სადურგლო–ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო.

რას იტყვით სამომავლო გეგმებზე?

–2022 წლისთვის კოლეჯის ორივე ლოკაციაზე იგეგმება ახალი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება/დანერგვა.

სამომავლოდ იგეგმება ხობი, ნოჯიხევის 4 სართულიანი შენობის რეაბილიტაცია, ასევე კოლეჯის ეზოს კეთილმოწყობა და პროფესიულ სტუდენტთა თანამონაწილეობით ხეხილის სადემონსტრაციო ბაღის მოწყობა.

მსოფლიოში ყველაზე უდიდესმა პრობლემამ–პანდემიამ რაიმე გავლენა ხომ არ მოახდინა სწავლებაზე?

–მოგეხსენებათ, პროფესიული განათლება ეს არის „სწავლა კეთებით“ - თუ არ შეეხე, თუ თვითონ არ ჩაერთე პროცესში, რთულია შეიძინო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პანდემიის ვითარებიდან გამომდინარე, სტუდენტებს შერეულ სწავლებას ვთავაზობთ. მიმდინარე ეტაპზე კოვიდ-პანდემიის რეგულაციების სრული გათვალისწინებით, კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს ჰიბრიდული ფორმით, როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ, როგორც კოლეჯში, ისე პარტნიორ ორგანიზაციებში.

ქალბატონო ნინო! გმადლობთ ინტერვიუსთვის. თქვენ და თქვენს კოლექტივს, სტუდენტებს გილოცავთ ახალ, 2022 წლის შემობრძანებას.

წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საუბარი ჩაიწერა ნანი კილასონიამ.

ავიცრათ ერთმანეთისთვის!

რეკომენდაციების დაცვით და ვაქცინაციით გავიმარჯვებთ

შორენა საბახტარაშვილი–ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი

ქალბატონო შორენა, თქვენი სამსახურის ძირითად მოთხოვნებსა და მოვალეობებზე რას იტყვით?

–ჯანდაცვის პროგრამა მტკიცდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მიზნობრივად გამოყოფილი სახსრების ფარგლებში. მოსახლეობისთვის მაქსიმალური სიკეთის მოტანა მხოლოდ პროფილაქტიკურ მედიცინაზე აქცენტის გადატანითაა შესაძლებელი. ცენტრის მთავარი ამოცანაა ინფექციური დაავადებების პრევენცია, მათთან ბრძოლა და დღესაც ეს სფერო რჩება პრიორიტეტად.

ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს ეპიდზედამხედველობის განხორციელებას, იმუნიზაციის მოცვას, იმუნოპროფილაქტიკისთვის საჭირო მასალის და აღჭურვილობის აუცილებელი მარაგის შექმნას, ცივი ჯაჭვის სისტემის გამართულ მუშაობას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას და წარდგენას დადგენილი წესით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამული ღონისძიებების შესრულებას.

ჯანდაცვის ცენტრი მუშაობს მრავალ სახელმწიფო პროგრამაზე, როგორიც არის აივინფექცია შიდსი, C ჰეპატიტი, ტუბერკულოზი, ანტირაბიული დახმარების, მალარიისა და ტრანსმუნური დაავადებები და სხვა. აღნიშნულს 2020 წლიდან დაემატა კოვიდ–19-ის საწინააღმდეგო ღონისძიებების პროგრამა.

პანდემიის პირველი დღიდან დღემდე, ჯანდაცვის ცენტრი პირველად რგოლებთან ერთად ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს კოვიდ–19-ის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით.

კოვიდ-19-მა ალბათ, მთლიანად შეცვალა თქვენი თანამშრომლების ცხოვრება, რას იტყვით ამაზე?

–ამ ვირუსმა მართლაც მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი. თანამშრომლებს, შეიძლება ითქვას, შესვენების გარეშე უწევთ მუშაობა. მთელი კვირის განმავლობაში ტესტირებები წარმოებს ადგილზე, ასევე გასვლით (შინ მისვლით) მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

შეაჯამეთ წლის მონაცემები, როგორია კოვიდ სტატისტიკა ხობის მუნიციპალიტეტში?

–2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე ხობის მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის ცენტრის მიერ წარმოებული სტატისტიკით სულ რეგისტრირებულია 3755 კოვიდ-19-ის დადასტურებული შემთხვევა, მათ შორის გარდაიცვალა 53 ადამიანი, ამჟამდ ინფიცირებულია 270, გამოჯანმრთელდა 3432 ადამაინი. თვეების მიხედვით: იანვარი–205 ინფიცირებული, თებერვალი 87, მარტი 59, აპრილი 222, მაისი 197, ივნისი 92, ივლისი 84, აგვისტო 344, სექტემბერი 342, ოქტომბერი 296, ნოემბერი 484. როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, გვაქვს კოვიდ-19-ით ინფიცირებულთა ზრდა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობამ მოადუნა ყურადღება, გარკვეული ნაწილი (საბედნიეროდ არა ყველა) იგნორირებას უკეთებს დაავადებათა კონტროლის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს და არის ანტივაქსერების გავლენის ქვეშ. ინფიცირებულთა რაოდენობის გაზრდის გამო გადატვირთულია ჰოსპიტალური ქსელი, მომატებულია გარდაცვლილთა რაოდენობა.

ახალი რეგულაციების და ე.წ. „მწვანე პასპორტების" ამოქმედება მისასალმებელია, მაგრამ ამის გაკონტროლება თქვენთან ერთად ვის ევალება?

–კოვიდ პასპორტი არის წიგნაკი, სადაც აღწერილია ინფორმაცია კოვიდ-19-ით მოქალაქეთა დაავადების, გაკეთებული პჯრ ტესტებისა და კოვიდ–19-ის საწინააღმდეგოდ ჩატარებული ვაქინაციის შესახებ, რომელიც შეიძლება მოქალაქეებმა აიღონ იუსტიციის სახლებში და სერვისცენტრებში, მწვანე პასპორტი 1 დეკემბრიდან ამოქმედდა. ადამიანი, რომ იყოს „მწვანედ" აღიარებული, უნდა ჰქონდეს ჩატარებული 24 საათიანი ვალიდურობის სწრაფი, ან 72 საათიანი ვალიდურობის პჯრ ტესტი, ან უნდა იყოს კოვიდ-გადატანილი, ან ორჯერ აცრილი. კოვიდ პასპორტის გაკონტროლება ჯანდაცვის ცენტრს არ ევალება, ის ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის პრეროგატივაა.

სამართალდამცველებთან ურთიერთობაზე რას იტყვით?

–2020 წლის დასაწყისიდან, როცა საქართველოში პანდემიის პირველი შემთხვევების საშიშროება გაჩნდა, ხობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრსა და პოლიციის ხობის სამმართველოს შორის მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო. ერთობლივად განსაკუთრებული მეთვალყურეობა გვქონდა დაწესებული კოვიდ-19-ის თითოეულ საეჭვო შემთხვევაზე, კონტაქტურ პირებზე, მათ მიერ საიზოლაციო პერიოდის დაცვაზე. კონტროლდებოდა აგრეთვე საერთაშორისო გადაზიდვებზე მომუშავე მძღოლები, მათი მარშრუტები და მათ რეისებს შორის იზოლაციის წესების დაცვა (სულ 250-ზე მეტი მოქმედი ავტომანქანა–ტრაილერები იყო დარეგისტრირებული).

შეიქმნა ინფიცირებულთა და მათი კონტაქტების ცხრილები, იზოლაციის წესების დაცვაზე მონიტორინგი დღესაც გრძელდება. ყოველდღიურად ჯანდაცვის ცენტრი ინფიცირებულების და მათი კონტაქტების შესახებ ინფორმაციას ელექტრონულად ვაწვდით პოლიციის ხობის განყოფილებას, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციას და ყველა სხვა დაინტერესებულ დაწესებულების დღესაც ჩვენს შორის ძალიან აქტიური თანამშრომლობა ყველა იმ ღონისძიებების გატარებით, რომლის მიზანიც არის კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი გავრცელების პრევენცია.

ვინ გეიმედებათ სამსახურში და საერთოდ?

–მეიმედება ჩემი გუნდი, რომელიც პანდემიის დროს, და არამარტო, უსიტყვოდ, დაუზარელად, გუნდურობის პრინციპით ვუმკლავდებოდით ყველა გამოწვევას.

ექიმის პროფესია ურთულესი, მაგრამ უდიდესი სიამოვნებაა, ამ რთულ ვითარებაში რას გაიხსენებდით (მძიმე და კარგი შემთხვევა) კურიოზებიც გქონდათ?

–დაგეთანხმებით, ექიმი ეს არის ადამიანი, რომელიც მთელ თავის ცხოვრებას უძღვნის სხვას, ის იღებს პასუხისმგებლობას ყველაზე ძვირფასზე, რასაც სიცოცხლე ჰქვია. ეს ყველაზე კეთილშობილური, ჰუმანური აუცილებლად საჭირო პროფესიაა. სულ მინდა გამცეს ვინმემ პასუხი შეკითხვაზე–ექიმობა პროფესიაა თუ მოწოდება? სანამ კარგი ექიმი გახდები ხანგრძლივი დროის განმავლობაში, დიდი შრომის ფასად უნდა აგროვო, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა. შენი პირადი ცხოვრება, დააყენო მეორე ადგილზე, უნდა იყო კეთილი, მოწყალე, მომთმენი, თანამგრძნობი, ასევე უნდა იყო ფსიქოლოგიც, რომ პაციენტთან მიდგომის გზები მოძებნო.

ექიმი ხვდება ადამიანს დაბადებისთანავე, ის ყოველთვის იქ არის ავადმყოფობის საათებში და სიცოცხლის ბოლოსაც. არ არსებობს იმაზე დიდი კმაყოფილება, ვიდრე განკურნების სიხარულის გრძნობა, ვინმეს სიცოცხლის გადარჩენა.

ქალბატონო შორენა, რა ტემპით მიმდინარეობს კოვიდ-19-ზე ვაქცინაცია. პარალელურად გრიპის ვაქცინაც ხომ არ კეთდება, რა კატეგორიისთვის არის იგი უფასო?

–კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მიმდინარეობს სამ სამედიცინო დაწესებულებაში: ევექსის ჰოსპიტალური ქსელის ხობის კლინიკა, შ.პ.ს. „მკურნალი" და შ.პ.ს. „პულსი".

ვაქცინაცია წარმოებს საქართველოში ადმინისტრირებული სამივე სახეობის ვაქცინით. სამივე დაწესებულება ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ყოველგვარი შეფერხების გარეშე უზრუნველყოფილია კოვიდ–19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით, რომლებიც სათანადო ტემპერატურული რეჟიმის დაცვით ინახება სპეციალურ მაცივრებში.

ამცრელი კაბინეტები დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. შ.პ.ს. „მკურნალში" და შ.პ.ს. „პულსის" მიერ დამატებით ორგანიზებულია თითო გამსვლელი სამედიცინო ბრიგადები. აცრები ტარდება შაბათ-კვირის გარდა, კვირაში 5 სამუშაო დღეს.

ამჟამად ვაქცინაციის ტემპი მომატებულია, მაგრამ ეს არ არის სასურველთან ახლოს, თან ეს მატება გამოწვეულია მატერიალური სტიმულირების ამოქმედებით, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის 9 ნოემბრიდან აცრილ პენსიონერებს და ასევე 60 წლის და ზემოთ მამაკაცებს 200 ლარიანი ერთჯერადი დანამატი დაერიცხებათ თავიანთ ანგარიშებზე. ეს ღონისძიება ძალაშია მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პარალელურად მ/წლის 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გარკვეული რისკ-ჯგუფებისთვის, როგორც არის დიაბეტით დაავადებულეები. 60 წლის და ზევით მოქალაქეები, სამედიცინო პერსონალი, სკოლების და ბაღების თანამშრომლები, გრიპის ვაქცინაცია ყველა ზემოთხსენებული კატეგორიისთვის არის უფასო.

და ბოლოს, რას ურჩევდით, მოსახლეობას?

–ჩვენს მოსახლეობას ვურჩევ დაიცვან დაავადებათა კონტროლის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები, გველოდება კოვიდ-19-ის გავრცელების მხრივ ძალიან მძიმე დეკემბერი და იანვარი, მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობამ უნდა დაიცვას დისტანცია, ყველამ უნდა ვატაროთ პირბადე დახურულ და ღია სივრცეებში არ გავმართოთ ხალხმრავალი ქორწილები და ქელეხები, მთავარია, აგრეთვე 18 წელს ზემოთ მოსახლეობის უმრავლესობამ მიმართოს ამცრელ დაწესებულებებს და აიცრან. რეკომენდაციების დაცვა და ვაქცინაცია ორივე ერთად არის ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის გარანტი.

და კიდევ მინდა სიტყვა „კორონა" მომავალში ასოცირდებოდეს ამავე სახელწოდების შოკოლადის ფილასთან, სიტკბოება, სიკეთე, ბედნიერება და ულევი წარმატებები ჩვენი მუნიპალიტეტის, საქართველოს და ზოგადად მსოფლიოს მოსახლეობას.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა.

მასწავლებლობა მეტად საპასუხისმგებლო, მნიშვნელოვანი, რთული და უძველესი პროფესიაა. მასწავლებელს არსებითად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც მომავალი თაობის სრულფასოვანი განათლებით უზრუნველყოფაში, ასევე მათი პიროვნების ჩამოყალიბებასა და აღზრდა-განვითარებაში. პედაგოგი, მოზარდებთან ურთიერთობის პროცესის პარალელურად მუდმივად უნდა იყოს ორიენტირებული თვითგანვითარებაზე.

ცხოვრება ხანმოკლეა, თუმცა, ცხოვრებაშივე დატოვებული კვალი მარადიულია და საშვილიშვილო... იყო წარმატებული შვილის აღმზრდელი დედა და ღირსეული პედაგოგი, არა მხოლოდ დაუღალავი შრომის, არამედ გამორჩეული შინაგანი სამყაროს დამსახურებაცაა. სწორედ ასეთი თვისებებით გამოირჩევა პატარა ფოთის საჯარო სკოლის პედაგოგი, რომელიც ღირსეულად ატარებს, როგორც „წლის საუკეთესო მასწავლებლის“ ტიტულს, ასევე, დამსახურებული ჯილდოს მფლობელის სტატუსსაც.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ბავშვის აღზრდა საკმაოდ რთული პროცესია, როგორც გერმანელი კომპოზიტორი, კარლ ვებერი იტყოდა, „ადამიანებად ჩვენ გვხდიან დედა და მამა, ადამიანურად კი „აღზრდა“.

მშობლის როლი ძალიან დიდია შვილის აღზრდაში, პიროვნული თვისებებით გამორჩეული და ღირსეული შვილი კი დედის საუკეთესო მონაპოვარია.

ქალბატონი, მარინა რატიანი არა მხოლოდ წლის საუკეთესო პედაგოგი, არამედ საუკეთესო დედაცაა. მან შვილების სახით, საქართველოს ღირსეული ექიმები აღუზარდა. დარწმუნებული ვარ ყველასათვის ცნობილია ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი და თბილისის საპატიო მოქალაქე ლევან რატიანი. ეს, ხომ ის ადამიანია, რომელიც პანდემიის პერიოდში და, არა მხოლოდ, მუდმივად იბრძოდა და დღესაც იბრძვის თითოეული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

„გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან!“ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებსაც დიდი გული აქვთ.

„ხობის მოამბე“ ქალბატონ მარინა რატიანს ესაუბრა, რომელმაც საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და რჩევები მისცა კოლეგებსა და მომავალ პედაგოგებს.

დედა, წარმატებული პედაგოგი...

მარინა და ლევან რატიანები

პირველი ემოცია რა იყო როდესაც გააცნობიერეთ, რომ წლის საუკეთესო პედაგოგად აგირჩიეს და ასევე, საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდით?

–ძალიან აღფრთოვანებული დავრჩი როდესაც, ეს ამბავი გავიგე, ვინაიდან ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, როდესაც ქალბატონმა ბეატრისამ გადმომცა ჯილდო, ამაზე უკეთესი, ალბათ, არაფერი იყო ჩემს ცხოვრებაში. 41 წელია პედაგოგი ვარ და როდესაც სკოლაში ვასწავლი, ასე მგონია, რომ სიცოცხლე მიხანგრძლივდება.

თქვენთვის რას ნიშნავს იყოთ დამსახურებული და გამორჩეული პედაგოგი?

–ეს ყოველივე ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რომ ადამიანმა ბევრი უნდა იშრომოს იმისთვის, რათა მიაღწიოს მიზანს, ამ ყველაფრის განსახორციელებლად კი, რა თქმა უნდა, დროა საჭირო, თუმცა სამომავლოდ აუცილებლად დაფასდება შრომა და ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის განათლების სამინისტროს და ასევე, ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, მის ხელმძღვანელობას.

ეს ის პროფესიაა, რომელიც ბავშვობიდანვე გსურდათ?

–ძალიან მიყვარდა ეს პროფესია, მასწავლებლებიც კი არაჩვეულებრივი მყავდა. ეს ჩემი ოცნება იყო, სხვა პროფესიის არჩევა ვერც კი წარმომედგინა.

პანდემიამ სრულიად შეცვალა სწავლების ფორმები, რა აზრის ხართ დისტანციურ სწავლებაზე? როგორ ფიქრობთ სწავლების ამ მეთოდით შესაძლებელია მოსწავლეებმა სრულფასოვანი განათლება მიიღონ?

–რა თქმა უნდა, მიიღებს სრულფასოვან განათლებას, ვინც ჩაერთვება, ვინც არ გაიცდენს და მოისმენს. მთავარია, მონდომება და ყველაფერი შესაძლებელია.

თქვენ მოტივატორი ბრძანდებით ისეთი პედაგოგებისთვის, რომლებმაც თქვენი გზა უნდა გაიარონ. რა რჩევებს მისცემდით მათ?

–ჩემი რჩევა იქნება, რომ უყვარდეთ ბავშვები, აუცილებელია ვასწავლოთ ის, რაც მათ არ იციან, გზაზე დავაყენოთ, ვიპოვოთ ნიჭიერების ის ნაწილი, რაც მათში დევს, არ დავთრგუნოთ, არ ვუთხრათ, რომ შენგან არაფერი გამოვა! არ არსებობს ცუდი ბავშვი, მთავარია, თითოეულთან სწორი მიდგომა.

თქვენს ოჯახზეც, რომ მოგვიყვეთ... ზოგადად, რა არის თქვენი ოჯახის წარმატების ფორმულა?

–სწავლის გამო არასდროს მიკამათია შვილებთან. იმდენად იყვნენ წიგნების მოყვარულნი, არასდროს მითქვამს დაჯექი და წაიკითხეო. შრომაც ძალიან უყვარდათ, სულ ჩემს გვერდით ტრიალებდნენ. ორი შვილი მყავს, ლევანი და თამრიკო რატიანები, ორივე ექიმები არიან და არა მხოლოდ ჩემი შვილები, რძალიც და სიძეც ექიმები გახლავთ.

ბატონ ლევან რატიანთან დაკავშირებით რას გვეტყვით, ბავშვობაში როგორი იყო? ამჩნევდით რაიმე განსაკუთრებულ თვისებას?

–უცნაური, თავისებური ხასიათი ჰქონდა, ყველაფერს თვითონ აკეთებდა, ძალიან უყვარდა ცხოველები. ბავშვობიდანვე ყველაფერი უყვარდა. ყვავილებიც, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი იყო, ყველაფერს ჩემზე უკეთ უვლიდა.

როდესაც ხედავთ საკუთარი შვილის ასეთ აღიარებას რა გრძნობა გეუფლებათ?

–ძალიან კმაყოფილი ვარ, ყოველთვის სიკეთისკენ მოვუწოდებდი და ამ პრინციპით ვზრდიდი, თვითონაც ასეთი ადამიანია, ყოველთვის ცდილობს სხვებს დაეხმაროს.

მას მერე, რაც საზოგადოებამ გაიგო, რომ ლევან რატიანი თქვენი შვილია, უფრო ხომ არ გამოიკვეთა თქვენი მეტად აღიარებისა და დაფასების საკითხი?

–რათქმაუნდა, ლევანის ფაქტორიც იკვეთება და ძალიან ბედნიერი ვარ ამით.

შვილების აღზრდა საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეა?

–ჩემი გამოცდილებით, დედებს ვეტყოდი, რომ ყველა საქმე გადადონ, მხოლოდ შვილის აღზრდით დაკავდნენ, არც საზღვარგარეთ წავიდნენ და არ დატოვონ შვილები. შვილის დატოვება იმას ნიშნავს, რომ ვკარგავთ მათ, დედასავით შვილს ვერავინ მოუვლის, ამიტომ ყველა დედასთან ჩემი თხოვნა იქნება, რომ შვილებთან ერთად იყვნენ. კი გვიჭირს ეკონომიურად, მაგრამ ყველაფერი იქნება თავის დროზე, მთავარია შვილი. იმ დედებს მივესალმები, რომლებიც შვილებისთვის ყველაფერს აკეთებენ.

ინტერვიუს ბოლოს, ქალბატონმა მარინამ მასწავლებლის როლზე ისაუბრა საგაკვეთილო პროცესის დროს და ასევე, საკუთარი შეხედულებები გაგვიზიარა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს მასწავლებელი. ამბობს, რომ პედაგოგს მსახიობის ნიჭიც უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესის დროს ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რათა კლასი მოიყვანოს „წესრიგში“. იმდენად უნდა დაინტერესოს მოსწავლე, რომ მას არ ჰქონდეს გაფანტული გონება. სწორედ აქედან გამომდინარე, ის თვლის, რომ მასწავლებელს ძალიან დიდი როლი აკისრია და მასზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მეგი ყურაშვილი

გვახსოვდეს წარსული, რომ გვქონდეს უკეთესი მომავალი

ამ დღეებში კულტურის სახლის ფოიე დაამშვენა ხობის თეატრის (დაარსებიდან დღემდე) შემოქმედებითი ჯგუფის და სპექტაკლების ნაწყვეტების ფოტოებმა. ეს არის მსახიობების თუ იმ პერიოდის კულტურული ცხოვრების ფოტოებზე ასახული სახეების გაცოცხლების ტოლფასი.

კმაყოფილების და აღფრთოვანების გამოხატვაც ვერ მოვასწარით, რომ მეორე სართულზე განსხვავებულ დაფაზე ხობის საპატიო მოქალაქეების სია დაგვხვდა, ნიშნად იმისა, რომ ყოველ ჯერზე პატივი მივაგოთ მათ სახელ-გვარებს, რომ მომავალმა თაობებმა გაითავისონ ვისი „გორისანი“ არიან.

მადლობა ამ ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ დიდი და კეთილშობილური საქმის ორგანიზატორებს (შეგნებულად არ ვასახელებთ). სხვათა შრომის, სამშობლოსთვის თავდადებული, დამსახურებული ადამიანების პატივის მიგებისთვის.

გვახსოვდეს წარსული, რომ გვქონდეს უკეთესი მომავალი.

გასაუბრება პედაგოგთან

„ის, რაც ღირებული და ფასდაუდებელია...“

რას ნიშნავს თქვენთვის ანტუან სენტ-ეგზიუპერის სიტყვები „ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ...“

–დიახ, ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. ბავშვობაის ნათელი და ბედნიერი წერტილია, სიხარულით სავსე დღეები, საიდანაც თითოეული ჩვენთაგანი მოვდივართ და მთელი ჩვენი ბავშვობა ცხოვრების მანძილზე მეგზურად მოგვყვება.

ბავშვობა ადამიანის მოგონებებში ყველაზე ტკბილ, უდარდელ, ლაღ პერიოდად რჩება. გვიამბეთ თქვენს ბავშვობაზე, სურვილებზე, ოცნებებზე, მიზნებზე...

–ყველა ბავშვს უოცნებია, არც მე ვიყავი გამონაკლისი... მომღერლობაზე და ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი. მართალია, ჟურნალისტობა გადავწყვიტე, მაგრამ საბოლოოდ მაინც, დედის პროფესია ავირჩიე და არ ვნანობ, ვფქირობ, მართლაც საუკეთესო პროფესიაა.

ვინ არის ნათია ხარებავა?

–დავიბადე 1990 წლის 19 ივლისს. დავამთავრე ხობის №2 საჯარო სკოლა და თბილისის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტი. ვმუშაობ ხობის №2 საჯარო სკოლაში. ვარ სერთიფიცირებული მასწავლებელი.

მყავს მშობლები დედა–ნონა მიქაუტაძე, II საჯარო სკოლის პედაგოგი, მამა–ჰამლეტ ხარებავა, პროფესიით ეკონომისტი, ძმა ირაკლი ხარებავა, პროფესიით ეკონომისტი. გამოდის, რომ შვილებმა მშობლების კვალს მივსდიეთ. მყავს მეუღლე დავით ჭითანავა, სპეციალობით ინჟინერი, შ.ს.ს. თანამშრომელი, შვილები 11 წლის ნინი და 3 წლის გიორგი.

ვარ კეთილი, მოსიყვარულე ადამიანი. უდიდეს პატივს მივაგებ ყველას, ვინც ჩემთან ურთიერთობს–ჩემს კოლეგებს, პატარა მოსწავლეებს, მეგობრებს. ისინი ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი გახლავთ.

ადამიანი, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა თქვენზე?

–ჩემზე დიდი გავლენა დედაჩემმა მოახდინა, რომელიც მუდამ სამაგალითო იყო ჩემთვის. ასევე, ძალიან ძვირფასმა ადამიანმა, ნათლია–ეკა ხასიამ, რომელიც ყოველთვის იყო და არის მისაბაძი მაგალითი.

სკოლა, ბავშვები... არის თქვენი ცხოვრების სტიმული?

–ბავშვები ძალიან მიყვარს, ისინი მართლაც არიან ჩემი ცხოვრების სტიმული. სწორედ მათი უსაზღვრო სიყვარული მაძლევს, როგორც პედაგოგს, სკოლაში მუშაობის ხალისს, ძალას, ენერგიას, ბადებენ კეთილშობილებას...

როგორც პედაგოგი, შეცვლიდი სკოლაში სწავლების მეთოდებს, ან სასწავლო წიგნებში რაიმე ცვლილებებს შეიტანდით?

–მცირე ცვლილებების შეტანას ვისურვებდი, გარკვეულ სახელმძღვანელოებს სჭირდებათ შესწორებები...

სკოლაში მასწავლებლად მისვლის პირველი შთაბეჭდილებები... ის, რაც იმ დღეს ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ?

–პედაგოგობის დაწყების პირველი დღე ძალიან დასამახსოვრებელი და ემოციური იყო, საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი. მახსოვს როგორ ვეიმედებოდი ჩემს პირველკლასელებს, როგორც მეორე დედა და უფროსი მეგობარი. დღესაც გამორჩეულად მიყვარს პატარები, მახარებს და მაძლიერებს თითოეულის წარმატება.

რას იტყვით, როგორი თაობა მოდის?

–ვფიქრობ, ძალიან თამამი, ჭკვიანი, გამბედავი და გონიერი. თაობა, რომელიც თანამედროვეობას შეცვლის. მათგან უდიდესი პოზიტივი და სიძლიერე იბადება.

თანამედროვე ცხოვრებაში რა არის ყველაზე დიდი დეფიციტი?

–ჩემი აზრით, ადამიანებში ყველაზე დიდი დეფიციტი, თვითშეგნებაა.

სკოლაში დაღლილი, ემოციებით დატვირთვის შემდეგ სად გრძნობთ თავს ყველაზე ბედნიერად? საქმე, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია?

–თავს ყველაზე ბედნიერად ჩემს შვილებთან, მეუღლესთან, მშობლებთან და ოჯახთან ვგრძნობ...

ის, რაც დღეს ყველაზე მეტად უნდა დააფასონ?

–ჩემი აზრით დასაფასებელია ყველაფერი ის, რაც ღირებულია და ფასდაუდებელი–სიყვარული, ერთგულება, ურთიერთპატივისცემა.

თქვენი ცხოვრების რეჟიმი?

–საკმაოდ დატვირთული რეჟიმი მაქვს. სამსახურის შემდეგ სახლში მიმეჩქარება. იქ ჩემი უსაყვარლესი ადამიანები მელოდებიან. თავისუფალ დროს მეუღლესთან, შვილებთან და მეგობრებთან ვატარებ.

რას ურჩევდით და უსურვებდით საახალწლოდ თქვენს კოლეგებს, მოსწავლეებს, ოჯახს, მეგობრებს, ყველას, ვინც გიყვარს?

–თითოეულს მივულოცავდი დამდეგ შობა-ახალ წელს! ვუსურვებდი, პირველ რიგში ჯანმრთელობას, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას, სიყვარულით და სიხარულით სავსე დღეებს.

ესაუბრა ნანი კილასონია.

ახალ წელს, ახალი იმედებით

როდესაც ახალი წელი ახლოვდება და მის მობრძანებას მოუთმენლად ველით, გვეუფლება გრძნობა, რომ რაც ცუდი რამ იყო წარსულს ჩაბარდეს და ახალმა წელმა ახალი სიხარული და წარმატებები მოგვიტანოს.

სწორედ ასეთი დილემის წინაშე დგანან დღეს ხობის სასპორტო სკოლის ნორჩი მოჭადრაკეები თავიანთ აღმზრდელ პედაგოგთან ერთად.

დიანა ლომაია–ჩვენი სიამაყე

უნდა ვაღიაროთ, რომ 2020-2021 წლები იყო ერთ-ერთი მძიმე პერიოდი ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს უახლოეს ისტორიაში. 21-ე საუკუნის ყველაზე დიდმა გამოწვევამ კორონა ვირუსმა მნიშვნელვანად დააზარალა ქვეყანა, და რაც ყველაზე დასანანია, დავკარგეთ ჩვენთვის ძალიან ახლობელი და საყვარელი ადამიანების სიცოცხლე.

აი, ასეთი ფონის გარშემო მოგვიხდა ჩვენ საყვარელი საქმის კეთება და მადლობა უფალს, რომ არ ჩამოვიშალეთ და ყველაფერ ამას გავუძელით მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით ვინაიდან ზოგმა მშობელმა თუ ბავშვმა ფაქტიურად ორწლიანი ვააკუმის პირობებში პერსპექტივა ვერ დაინახა და კარგად დაწყებული საქმე შუა გზაზე მიატოვა.

კერძოდ ქუთაისის სამხედრო ლიცეუმში გააგრძელა სწავლა მრავალი წლის მანძილზე ჩვენმა უცვლელმა ლიდერმა ნიკა ბუკიამ, რომელმაც დაახლოებით 5 წელი ღირსეულად ზიდა ლიდერობის ტვირთი მრავალ საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ ასპარეზზე და ბევრი გამარჯვება მოგვიტანა. სრულიად სწავლაზე გადაერთო და გაუჭირდა სპორტისა და სწავლის შეხამება ასევე მეტად წარმატებულ გოგონას, ლიკა ჭანტურიას. ორივე მათგანს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით წარმატებებს ვუსურვებთ მომავალში და მადლობას ვუხდით იმ ყველაფრისთვის, რაც მათ ჩვენი სკოლის სადიდებლად გააკეთეს.

დავიწყეთ თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის დაძლევა. გვერდში დაგვიდგნენ სკოლის ადმინისტრაცია და მშობლები. ჯერ ონლაინ რეჟიმის სისტემის მეშვეობით, შემდგომში კი, როდესაც შეზღუდვები ნაწილობრივ მოიხსნა. დაუღალავი შრომის ხარჯზე შევძელით ფაქტიურად ახალი გუნდის შექმნა, სადაც ლიდერის მანტია 10 წლის გიორგი იოსავამ და 13 წლის მარიამ ლაგვილავამ მორიგეს, მათ გარშემო თავი მოუყარეს უდაოდ ნიჭიერმა მოზარდებმა: ანდრია ახალაიამ, ცოტნე ქაჯაიამ, ანდრია ზარანდიამ, დავით ბუკიამ, ანდრია ქანდარიამ, ლუკა სანაიამ, და–ძმა ნინო და ნიკო ქავთარაძეებმა, ლილე ალანიამ, დათო შამუგიამ და სხვებმა. გაჩნდა იმედი, რომ ზურაბ ტყებუჩავას, დიანა ლომაიას, ამირან შონიას, თეიმურაზ კვიკვინიას, ლუკა შამუგიას აღმზრდელ სკოლას კვლავ ხელეწიფება ახალი ტალანტების აღმოჩენა და დაოსტატება.

ყველაზე კარგი, რაც კი ჩვენთვის 2021 წელს მოხდა, გახლავთ ჩვენი სკოლის ყველაზე სახელოვანი აღსაზრდელის 16 წლის, დიანა ლომაიას მორიგი ტრიუმფი, მან 20 წლიან გოგონათა შორის უკვე მერამდენეჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული, ამასთანავე დაეუფლა 2022 წლის საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზურს. მანვე მეტად პრესტიჟული ახალგზრდათა შორის მსოფლიო თასის გათამაშებაში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. რასაც გულწრფელად ვულოცავთ მას. ვიტოვებთ იმედს, რომ 2022 წელი დიანასთვის და მისი თანამემამულე ნორჩი მოჭადრაკეებისთვის წარმატების წელი იქნება, რომელიც მომავალ დიდ გამარჯვებებს დაუდებს სათავეს.

თქვენ კი ძვირფასო ხობელებო, ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველებო, გილოცავთ დამდეგ 2022 წელს! ჯანმრთელობა, სიკეთე და ბედნიერება დაგბედებოდეთ.

ირაკლი გეთია,

სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ქალაქ ხობის საპატიო მოქალაქე

წარმატებული ხობელები

შუქრი მირცხულავას ხსოვნას

გადამჭკნარი ჭალა,
გადამხმარი ლელი...
შემოდგომის ღამემ
სევდა იცის ძველი...
არსად, არსად, არსად
შენი ალი–კვალი...
აღარც წვეთი ცრემლი
საყვარელი ქალის...
მცემს სიმძიმე გულზე
მუხათგვერდის მიწის,
შემოდგომის ღამემ
ძველი სევდა იცის.

2005.3.XI

ზოია ცხადაია.

შუქრი მირცხულავა– პოეტი ლიტერატურული კულისებიდან

შუქრი მირცხულავა ერთი იმ ხობელთაგანი იყო, ახალგაზრდა კაცი, რომლის გახსენება უბრალოდ მადლიანი საქმე კი არ არის, არამედ ვალია ჩვენი, რომლებიც მას კარგად ვიცნობდით.

უაღრესად კეთილშობილი, თავმდაბალი, გულმართალი, უბოროტო, გულჩვილი, სავსე შინაგანი პატიოსნებით და რაც მთავარია, უაღრესად ნიჭიერი. მე ის 1962 წელს, პირველ კურსზე, სექტემბერშივე გავიცანი უნივერსიტეტში (პოეტმა რეზო ვეკუამ გამაცნო, მისმა ახლო მეგობარმა) და შემიძლია ვთქვა, იმ დღიდან განსაკუთრებული დაძმური მეგობრობა დავიწყეთ და ასე დავრჩით ბოლომდე.

ორი ფაკულტეტი ჰქონდა ამ დროს დამთავრებული: ფიზიკა-მათემატიკის და ჟურნალისტიკის, ორივე თსუ-ში. ვიცოდი, რომ ლექსებს წერდა. არ გამკვირვებია, ცნობილი პოეტის, ალიო მირცხულავა-მაშაშვილის დისშვილი იყო და გენეტიკა უწყობდა ხელს. მისი თანატოლი, ასევე პოეტი, ვაჟა დოლბაია–ეგრისელიც მამიდაშვილი იყო.

ღირსეული გვარის და ღირსეული დედ-მამის შვილი იყო. დედა–გალინა გეგეჭკორი, პროფესიით ექიმი თერაპევტი გახლდათ. ჩინებული ოჯახიდან. მისი ბაბუა და მამა სასულიერო პირები ყოფილან, ცნობილი და ღირსეული კაცები. მათ ნაქონ ხატებს სათუთად ინახავდა ოჯახი. შუქრის დეიდა, მარო გეგეჭკორი, დამსახურებული მასწავლებელი იყო, ხორგაში უმუშავია და ბოლოს შუქრისთან და გალინასთან (შინაურობაში განაშას ვეძახდით) ცხოვრობდა, უშვილო იყო. ორი ღირსეული ქალბატონი შესციცინებდა ადრე დაობლებულ შუქრის. სულ პატარას მოკვდომია მამა, ბიქტორ მირცხულავა. ვაკის სასაფლაოზე იყო დაკრძალული. თვითონაც ვაკეში, ფალიაშვილზე ცხოვრობდნენ.

თვითონ საუკეთესო ლექსები ჰქონია და გამოქვეყნება არც უცდია (ამაზე ქვემოთ, მურმან ლებანიძეს მოვუსმინოთ), სხვისი წარმატებით კი ხარობდა. სანამ სტუდენტი გავხდებოდი, იმ ზაფხულს ჩემი ლექსები გამოქვეყნდა და ეამაყებოდა. თან მეუბნებოდა: ლია სტურუა და ლია ჭავჭავაძე წერენ კარგად და აბა, შენ იციო. ეს ორი პოეტი (ლია სტურუა დღეს გამორჩეული პოეტია, უნიჭიერესი და ორიგინალური) მისი თანაკურსელი იყო. ამით ის მინდა ვთქვა კიდევ ერთხელ: ხარობდა კაცი სხვისი წარმატებით. პოეტი დილარ ივარდავაც მისი საუკეთესო მეგობარი იყო.

გალინა დეიდამ და ქალბატონმა მარომ ბინის აშენებაც შეძლეს და ყოველმხრივ კარგად მოუწყვეს ყველაფერი. მამაპაპისეული ნივთებიც ჰქონდათ შემორჩენილი, მოგონება რომ აკავშირებდათ ისეთი. სამწუხაროდ, ოჯახის შექმნა დაუგვიანდა შუქრის, ჰქონდა ისტორიები, მაგრამ, ალბათ, ბედისწერა თუ იყო.

37 წლისა დაქორწინდა, თავისზე ბევრად უმცროს, მშვენიერ გოგონა მერი ბარბაქაძეზე. სიკვდილმა არ დააცალა, წელიწად-ნახევარში ინფარქტით გარდაიცვალა, სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

ასე დამთავრდა ამ არაჩვეულებრივი დედისერთა ბიჭის ცხოვრება. დიდი ტკივილი იყო ეს ჩემთვის და მთელი ჩემი ოჯახისთვის: დედაჩემისთვის, ჩემი დისთვის, ძმისთვის, მეუღლისთვის... მთელი ღამე მესმოდა იმათი სახლის მხრიდან გოდება, სამეგრელოში რომ გამიგია, ისეთი. ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ იმათთან მოხდა რამე, მაგრამ დილით, ძალიან ადრე, ჩუმად გავედი სახლიდან, რომ მათ კარებთან მივსულიყავი და დავრწმუნებულიყავი, რომ მშვიდობა და სიწყნარე იყო. იქ კი კარები ღია დამხვდა...

გულგახეთქილმა დედამ და დეიდამ შუქრის დასაფლავება მუხათგვერდში გადაწყვიტეს, ვაკიდან მამაც გადაასვენეს, იქ 300 წელი ხელშეუხებელი იქნებაო სასაფლაო,–ასე იიმედებდნენ თავს... ეს იყო 1978 წლის გაზაფხული.

შუქრი 1964 წლიდან გამომცემლობა „საქართველოში“ რედაქტორად მუშაობდა. იმ დროს თარგმნილი აქვს ლიონ ფოიხტვანგერის ლექსები, რომელიც მეორედ გამოიცა 2012 წელსაც, როგორც საუკეთესო წიგნი (600 გვერდი, მასში შედის ფოიხტვანგერის ისტორიული რომანიც);

საკუთარი ლექსები არ გამოუცია. მოგვიანებით, დედის მზრუნველობით, მოვიძიეთ შუქრის ლექსები, მივუტანეთ მურმან ლებანიძეს და წიგნი გამოიცა. აი, რას წერს მურმან ლებანიძე წიგნის წინასიტყვაში: „არათუ ლექსებს ამ კეთილშობილი კაცისას,–მის სულიერ სამყაროს, მის ადამიანურ ინტერესებსაც კი, თურმე ნაკლებად ვიცნობდი. გამომცემლობა „საქართველოს“ კვალიფიციურ მუშაკს, ქართული მხატვრული ლიტერატურის გამოცდილ რედაქტორს, შუქრი მირცხულავას, ერთხელ მაინც შეეძლო დაესვა საკითხი თავისი ლექსების გამოცემის შესახებ. გადიოდა წლები, იცემოდა აურაცხელი წიგნი, პირადად, საკუთარ წიგნზე კი არაფერს ამბობდა ეს ჩუმი და თავმდაბალი, უპრეტენზიო და მორიდებული ადამიანი.

და მხოლოდ სიკვდილმა, უდროო სიკვდილმა გაგვახსენა ჩვენ შუქრი მირცხულავას ლექსები... ყველაფერი ნათელია ჩემთვის: პოეტი არ ჩქარობდა, მუშაობდა და წიგნის გამოცემის ოცნებას ხვალის დღისთვის ინახავდა. რა იყო ეს, თუ არა მაღალი გემოვნება... მისი ლექსები ნათლად მეტყველებენ პოეტის ნიჭზე... გულწრფელობასა და გონიერებაზე, აგრეთვე, რაც მთავარია, ლიტერატურული პატიოსნების მეოხებით–აქ წარმოდგენილი ლექსები უდავოდ გულს ეცხება. ჩაგვაფიქრებენ ისინი სიყვარულსა და ადამიანობაზე, სიკვდილ–სიცოცხლესა და თვალწინ დაგვიყენებენ ჩვენს ჩრდილში მყოფსა და კეთილშობილ თანამედროვეს, ჩვენს სათნო და სპეტაკ ამხანაგს–შუქრი მირცხულავას“... შემდეგ პოეტი განიხილავს შუქრის ლექსებს და გულდაწყვეტილი მოუწოდებს თანამოკალმეებსაც, არ დაუკარგონ შთამომავლობას პოეტები ჩვენი ლიტერატურული კულისებიდან.

მე არ შევუდგები შუქრის ლექსების განხილვას. მურმან ლებანიძემ საკმაოდ გვითხრა სათქმელი. მხოლოდ იმ რამდენიმე ლექსს შევთავაზებ მკითხველს, რომლებშიც ჩანს მისი პიროვნება და ბედისწერა. ერთი ლაღი ლექსიც გავიხსენოთ, მისი ცხოვრების ბედნიერი წუთებიდან, ლექსი მხატვრული თვალსაზრისით ძალზე შთამბეჭდავია, ვარსკვლავიანი ცის ულამაზესი მეტაფორით:

„ჩვენ აქ ვქეიფობთ, ალგეთის ბოლოს,
სადაც ალქაჯი ვენერა სახლობს...
ცა ჩამოსულა, ო, ისე ახლოს,
გადაჰფარვია ჭინჭრიან შუკებს...
ჩვენ ყველა ჭიქა დავცალეთ უკვე და ვარსკვლავები
დამთვრალან მხოლოდ“.

ძალიან კეთილ, უწყინარ, გულთბილ ადამიანზე იტყვიან-ხოლმე: „ჭიასაც არ დააბიჯებს ფეხსო“... ასეთი იყო ჩვენი შუქრი. აი, ნიმუშიც მისი ლექსი:

„პატარა ჭია რად მისდევს ტოტებს,
უნაზესი და პატარა ჭია?! –
ქარი ხეს არხევს და აბოროტებს
და იქვე ახლოს ხეებსაც ჭრიან...
პატარა ჭია რად მისდევს ტოტებს –
დაიღუპება პატარა ჭია“.

კიდევ ორ ლექსს გავიხსენებთ–მხატვრულად ღირებულს, ჭეშმარიტ პოეზიას, ამასთან–შემაძრწუნებელს. ესაა პროვიდენციული ანუ წინასწარმეტყველური ტექსტები. ასე ხდება ხოლმე პოეტებთან. ეს ამოუცნობი ფენომენია. ორივე ლექსი უსათაუროა, ორივე სიკვდილზეა, თანაც საკუთარ უდროო სიკვდილზე. არ არის საგანგებოდ და ძალით დაწერილი. სათქმელი თავისით მოდის თითქოს, იმდენად ბუნებრივად ისმის პოეტის ნათქვამი.

„ჩემი დღე უფრო მძიმე ყოფილა,
ვიდრე ცოცხლების, რომლებიც ახლა
მე მიგონებენ მსუბუქი ჭმუნვით...
მცირეა ზეცა ჩემი სამარის,
ხოლო წყვდიადში ჩემს ჩამქრალ თვალებს
არ შეუძლიათ შემჩნევა რამის...
წვიმა, რომელიც ჩემამდე მოდის,
ჭუჭყია მხოლოდ და მიწისფერი,
და ჩემი თითის დაშლილ ფალანგებს
აწ სოფლელ გოგო ცეცხლი და თივა
აღარასოდეს წაეკიდება...
მაგრამ მე მაინც არ ვკარგავ იმედს,
თუკი ყველაფერს აქვს დასასრული,
ჩემი არყოფნაც მორჩება ალბათ.

და მეორეც:

შუაღამისას
მთვარის შუქზე შევკაზმე
რაში,–ჩემი ჯიუტი
და თეთრი ცხენი, –
და, დედაჩემო,
გაჭენებულ ფლოქვების ხმაში
მე გულისცემა
ვიცანი შენი.
მე ბევრს ვუყვარდი
და ასე მწამს მრავალთა შორის
შენ, შენ გიყვარდი
ყველაზე მეტად...
მოგენატრება შენი შვილის
ნაზი ამბორი და ჩაგიდგება
თვალებში ელდა;
რა იყო მაინც
უეცარი ეს ჩემი წასვლა, –
არ გეშვებიან ფიქრები ჩემზე,
–დაგავიწყდება,
დედაჩემო, რომ ვარ მიწაზე
და, შენგან წასულს,
ღრუბლებში მეძებ.
მე მამაჩემთან
ვწევარ ახლა და ეს გვაქვს ჩვეად –
ჩვენ ერთმანეთზე ვწუხვართ სამნივე...
არ გავიწყდება
არასოდეს სამარე ჩვენი
და მორწყვა
თეთრი იასამნების...
მოდიხარ ჩვენთან
და ცრემლებით საფლავს გვისველებ,
ეს დღეც გარინდდა
სველი თვალებით;
მე შენი ცოდვით
ამ ჯურღმულში ვეღარ ვისვენებ,
მე ვწუხვარ შენზე
და მებრალები.
და ვწევარ ახლა
მამაჩემთან და არამიშავს
და სამარის ცას
ჩვენ ერთად ვუმზერთ,
შენ კი ეცადე,
ჩვენი ხსოვნის უბრალო ნიშნად
იასამნები აგვინთო გულზე“.

დედამ შეუსრულა შუქრის და, მართლაც, დაურგო იქ იასამნები. მამის ნეშტიც გვერდით დაუსაფლავა.

ოთარაანთ ქვრივივით გარდაიცვალა გალინა დეიდა. წითელ პარასკევს შუქრის საფლავის მისახედად ჩემმა მეუღლემ და შვილმა მანქანით წაიყვანეს მუხათგვერდის სასაფლაოზე, მეზობელი ქალბატონიც ახლდა. იქ თავ-თავიანთ საფლავებს მიაკითხეს: ჩემებმა–დედის, ბებოს საფლავს, იმ ქალბატონმა–მეუღლისას, გალინა დეიდა შუქრისთან დატოვეს. დათქვეს, რომ გალინა დეიდასთან მოვიდოდნენ სამივენი, გზის პირას. იქ მისულებს არ დახვდათ. ჩემი შვილი შესულა და მალე მობრუნებულა: მამა, გალინა დეიდა ცოცხალი არ არისო... საშინელ დღეში ჩაცვენილან. ნახეს–თოხით ხელში, შვილის საფლავთან, (თუმცა, მას საფლავი მოვლილი დახვდაო, – ისიც მითხრეს, ნათესავს, შუქრის დასავით რომ უყვარდა, დოდო გეგეჭკორს გაესუფთავებინა წინა დღით)...

ასე დასრულდა ამ უიღბლო ოჯახის ისტორია.

წვანან ახლა ერთად: დედა, დეიდა, მამა და შვილი...

ზოია ცხადაია

ცეცხლისფერი დისკო...

შემოდგომის ჩამავალ მზეს შესცქეროდა ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი. მის სევდიან მზერაში აშკარად იგრძნობდი, რომ თავის „გაზაფხულს“ შენატროდა იგი.

–„ასეა შვილო... მითხრა მიახლოებულს. ჩემმა გაზაფხულმა დიდი ხანია ჩაიარა. სიცოცხლე ძალიან მიყვარს, დილით რომ ავდგები, ამომავალ მზეს შევხედავ და მიწას მყარად დავაბიჯებ... მიხარია, რომ ცოცხალი ვარ...

ადამიანის ცხოვრება წელიწადის დროებს გავს. გაზაფხული იბადება, ჩქეფს სისხლი, აი შეხედე დამჭკნარია“.

გაკვირვებული მაჩვენებს გაყვითლებულ ფოთლებს...

რა გასაკვირია, შემოდგომაა და ავიჩეჩე მხრები...

–ჰო შემოდგომაა, გამიღიმა მოხუცმა. სიბერეა შემოდგომა, ახალგაზრდობა... დაიწყო გაზაფხულით, ჩქეფდა სისხლი, გრძელდებოდა სიცოცხლე და სულში შემოდგომა ჩამისახლდა, თითქოს მოვკვდები და დაზამთრდება კიდეც...

მზე უკვე ცისკიდურზე მიგორავდა...

–ნახე? თითით მაჩვენებს ჩამავალ მნათობზე.

–ჩემთვის ახლა შემოდგომის მზეა... მეც ვიყავი შენსავით ახალგაზრდა, შენც იქნები ჩემსავით მოხუცი, სამწუხაროა, მაგრამ ასეა, შვილო.

ასე დამამშვიდა მოხუცმა და ჯოხის კაკუნით დამშორდა.

...საოცარი პიროვნება იყო ჩემი კარის მეზობელი „შაშა“ (ასე ვეძახოდით ბავშვობაში მას) საშა კორტავას, მრავალ ჭირგამოვლილს მარტოდმარტო დარჩენილს, ომში უგზოუკვალოდ დაკარგული ძმების ერთადერთ დას, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ელოდა მათ.

სპეტაკ ქალბატონს დაღლილს, დაქანცულს, მაგრამ სულით ამაყს... მომნატრებია, უსაშველოდ მომნატრებია მისი „ნაცხვაბარა“ კოპწია ეზო და ეზოში მდგარი უზარმაზარი „ჯანგარა“ მსხლის უტკბილესი თუთის ხის „ჯამკაკალის“ გემო და ანცი ბავშვობა.

ფიქრით თავდაღმართში დავეშვი და ჩემს საოჯახო ალბომში, მის ძველ სურათს შემორჩენილს ფიქრით მოჰყვა წარსული.

ამდროებამ გამახსენა დღენი მძივად ასხმული, მოღუღუნე თეთრი მტრედი ფიქრის მთაზე დასმული, გამახსენდა ბავშვობა და წარსული, მეცხრე ცამდე ასული და დავრწმუნდი, დიდი ხანია „ცეცლისფერი დისკო ჩაესვენა“, მე კისულ მინდა. ისევ იმ გზით ვიარო წლების მიღმა რომ მიცემდა გული.

ჩამოუშლია ფიქრების ნამქერს
საშემოდგომო ყვითელი ფარდა,
ბოლო პანაშვიდს გადავუხდი ყველას,
სიყვარულის და სიცოცხლის გარდა.

* * *

...წვიმის შემდეგ მსუბუქ, გამჭვირვალე ნისლშია გახვეული ჩემი სოფელი. ერთ დროს აქაურობის სიმყურდოვეს პატარების მხიარული კისკისი და სიცელქე აკრთობდა, ირგვლივ ომახიანი ხმები ისმოდა. ახლაც მელანდება ჩემი ბავშვობა... სოფელი ხმაურიანი, მშფოთვარე, მღელვარე და გული მონატრების სევდით მევსება...

ფანჯრიდან ბაღის ძველ სკამზე წყვილს ვხედავ... უყვარდა, ერთი უყვარდა...

განმარტოების ჟამს...

(ჩანახატი)

ჩემო მეგობარო, გახსოვს სიტყვები, თავის მსმენელს, რომ მიმართავდა „ერის მეისტორიე“ მწერალი ოთარ ჩხეიძე?

„–ერთი ამბავი უნდა მოგახსენოთ, მე გეტყვი, შენ გაიგებ და არას მოიგებ–ნუ მომიგებ რა ბედენაა, მე ჩემი მოვალეობა დამკისრებია, ავდევნებივარ ჩემს მოვალეობას“...

მკითხველის სამსახურში

ჩვენც ავყოლილვართ ერთგულად ჩვენს მოვალეობას და სხვა თუა არა, მკითხველი მაინც იქნება ჩვენი მადლობელი. ჰოდა, ვიწყებ ამბის თხრობას.

როცა 2020 წლიდან ფრთები გაშალა პანდემიამ, მისი ნაბარტყი ხდებოდა დახშული ინიციატივა და ვარ ბიბლიოთეკაში და გელოდები. პანდემიამ არ შეგაშინოს გამოფიტული ყოფისგან თავისუფლება მხოლოდ ნამდვილი ლიტერატურის კითხვით შეიძლება“.

მართლაც, არცერთი დღე არ დაკეტილა ჭალადიდის ბიბლიოთეკა. ცხვირპირაკრული უწყვეტად ემსახურებოდა ერთგულ მკითხველს, რეგულაციების დაცვით ატარებდა

კულტურული იმპულსი, მოკლედ ნიკო სამარდაშვილი წერს „სადაც არ მიხვალ ყველგან ღამეა“.

ეს „ღამეები“ იგრძნო ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიბლიოთეკარმა გულნაზ ჯიშკარიანმა, რა გამთიშველი ძალაა კულტურის კერასა და მკითხველს შორის, ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ბიბლიოთეკარი მკითხველის მეგობრად დარჩენილიყო. „მე შენთან ვრჩები მკითხველო, ღონისძიებებს. ის ერთ-ერთი წარმატებული ბიბლიოთეკარია მთელს მუნიციპალიტეტში.

ალბათ, ეს პანდემიაც მალე დამთავრდება, ყველაფერი დაუბრუნდება თავისთავს. სათქმელი კი ბევრია. გეტყვით ბევრს თუ ისევ არაფერი წამოგვეწევა, ოღონ მე რომ გეტყვი, შენ გაიგონე „ნუ მომიგებ რა ბედენაა, მე ჩემი მოვალეობა დამკისრებია... ავდევნებივარ, ავყოლილვარ ერთგულად...“

გვერდი მოამზადა ნაირა ბერაიამ

სულთათანა

მერი აბრამია



წავიდა... წავიდა ვალმოხდილი საკუთარი ქვეყნის, რაიონისა და სოფლის წინაშე. გამორჩეული სულიერი თუ ხორციელი სილამაზის, ნიჭის, სიკეთის, სიყვარულის და მოწყალების უანგაროდ გამცემი, სიმართლის მთქმელი და დამცველი, გვერდზე მდგომი ჭირსა თუ ლხინში, ლამაზად შვილების აღმზრდელი, ლაღი, მუდამ მომღიმარი, პოეტი, მწერალი, მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, ხობის საპატიო მოქალაქე–ქალბატონი მერი აბრამია.

მქონდა ბედნიერება მის მიერ დაარსებულ სკოლა–გიმნაზიაში 1996–2007 წლები მემუშავა პედაგოგად. ეს იყო უბედნიერესი წლები ჩემს ცხოვრებაში, რადგან თვითონ იყო მაგალითი ღირსული პედაგოგისა, რომელიც დაუზოგავად, უშურველად გასცემდა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას ახალბედა მასწავლებლებს.

მადლობას გიხდით და ქედს ვიხრი თქვენს წინაშე უდიდესი თანადგომისა და გაწეული შრომისთვის...

წავიდა, გადასახლდა იმიერში და და გვიტოვა უდიდესი სითბო, სიყვარული, ტკბილი მოგონებები და უსაზღვრო მონატრება იმ სიტყვაკაზმული ლექსებისა, რომელსაც ვერავინ ისე ვერ კითხულობდა, როგორც მერი აბრამია...

ნათელიში იყავი დედასავით თბილო, საყვარელო და ახლობელო ადამიანო. ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ....

მანანა თათარიშვილი

სიკვდილი შემოგვეჩვიაო–ვამბობდით. ისეთი დრო დაგვიდგა, მართალია ტკივილით, მაგრამ მგონი ჩვენც შევეჩვიეთ სიკვდილს.

მარადისობას შეუერთდა მერი აბრამია–სულით ხორცამდე ულამაზესი, ნიჭიერი, ქვეყნის მოჭირნახულე, კარგი მოქართულე, პოეტი, მწერალი, ჟურნალისტი, უმთავრესად გამორჩეული დედა.

ხშირი სტუმრობით გვანებივრებდა. ეფერებოდა და ელოლიავებოდა გაზეთს, რომლის დაარსებაში დიდი წილი დაედო. გვირანდავდა სტრიქონებს, გვასწავლიდა სიტყვასთან ჭიდილს, თუმც გამარჯვებული მუდამ თავად იყო...

მისი ლექსებისა და მოთხრობების პირველმხილველობის სიამოვნებას არ გვაკლებდა. ჩვენი საპატიო ქალბატონი იმშვენებდა ხობის საპატიო მაქალაქეობას, „ფაზისის“ აკადემიის აკადემიკოსობას, უკვე ასაკშიც ახალგაზრდულ ხმაზე მღეროდა, სიბერეს ვერც გრძნობდა...

გვიყვარდა და ვუყვარდით...

...სატკივარს სატკივარი დაემატა, ცნობილი მიზეზის გამო მის სხეულს ვერ მოვეფერეთ, სხვისი ლამაზად დამტირებელი, ვერ დავიტირეთ... ვწუხვართ...

მერი ლაგვილავა.

„კოლხი ამორძალი“

მინდოდა წერილი განსაკუთრებულად დამესათაურებინა და უამრავი ეპითეტი მოვსინჯე, მაგრამ ქალბატონ მერისთან მიმართებაში, ვფიქრობ, ყველაზე მისადაგებული მაინც „კოლხი ამორძალია“.

ამორძალივით უშიშარი, მებრძოლი, სამართლიანი, მაგრამ საოცრად მიმტევებელი, მომფერებელი, გულჩვილი და გულთაფლიანი.

მერი ალექსანდროვნა (ასე მივმართავდი ხოლმე) მიუხედავად ასაკისა, ახალგაზრდული შემართებით ცხოვრობდა, დაღლა და წუწუნი მის ხასიათში არ ჯდებოდა. მისი თითოეული სიტყვის წონადობა ძალუმად იგრძნობოდა, მის მოთხრობებში, ლექსებში და პუბლიცისტურ წერილებში.

ყველა გაჭირვებულის საიმედო თანამდგომი, ლხინისა და ჭირის მოზიარე, დაუზარელი და კეთილშობილი, სულიერი არისტოკრატიზმით და იშვიათი პიროვნული ხიბლით გამორჩეული–სხვა ეპითეტი მის მიერ გავლილ ცხოვრების გზას არ უხდება...

ქალბატონ მერისთან განსაკუთრებული დედაშვილური გრძნობა მაკავშირებდა, რადგან ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასულ დედას მაგონებდა. მისი თვალების შუქჩამჯდარი მზრუნველი მზერა სულსა და გულს მალამოდ ედებოდა, მამაღლებს, მაკეთილშობილებს, სიკეთის საკეთებელ გზას მიხსნიდა, ამიტომ მიყვარდა დედასავით ჩემი მერი ალექსანდროვნა.

P.S. წერილი ძალიან მოკლე გამოვიდა, ალბათ ასე იცის დიდმა სიყვარულმა. ჩვენ უთქმელადაც კარგად გვესმოდა ერთმანეთის...

ამჯერად სიტყვა გრძნობამ დაჯაბნა და დამამუნჯა. სათქმელს თავს ვერ ვაბამ, კიდევ ერთხელ გთხოვთ მომიტევოთ.

მარადიული სიყვარულით

ბეშან ნადარაია.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია მწუხარებას გამოთქვამს მწერლის, პედაგოგისა და ხობის საპატიო მოქალაქის

მერი აბრამიას

გარდაცვალების გამო.

მერი აბრამიას 2016 წელს, „ცოტნეობის“ სახალხო-საეკლესიო დღესასწაულზე ხობის მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული ღვაწლისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მიენიჭა ხობის საპატიო მოქალაქის წოდება.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია პატივს მიაგებს მერი აბრამიას ხსოვნას და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო თანაუგრძნობს მამუკა და ზვიად ბუკიებს მამის

გორიკო ბუკიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ თამილა გვასალიას, ენვერ და დიკა სალაყაიებს შვილისა და დის

შორენა (ბაკო) სალაყაიას

გარდაცვალების გამო.

ა(ა) იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ედუარდ (ედიკა) გოგინავას

უდროო გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ამავე გაერთიანების დირექტორს ეკა ხასიას და მის ოჯახს.

გია ნადარეიშვილი

კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი გადავიდა მარადისობაში, ბატონმა გიამ შრომით, ნიჭიერებით და პრინციპულობით საზოგადოებაში დიდი სიყვარული დაიმსახურა, ამიტომაც უამრავი მეგობარი და დამფასებელი ჰყავდა და ჰყავს დღესაც...

მან ლამაზად, კაცურად, ნამუსიანად იცხოვრა, თითქმის 60 წელი უღალატოდ ემსახურა მის მშობლიურ ხალხს, მუნიციპალიტეტს.

სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ნიჭიერი ორგანიზატორი, წლების განმავლობაში სხვადასხვა საპასუხისმგებელო თანამდებობებზე მუშაობდა.

დაიბადა 1940 წელს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. გაიარა, ასპირანტურის სრული კურსი. ახალგაზრდა სპეციალისტი დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს, რიგით ინჟინერ-მექანიზატორად. მას შემდეგ ხელმძღვანელის ყველა საფეხური გაიარა.

კაცთმოყვარეობით, ინტელექტით და მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეულმა დიდი მოწიწება და სიყვარული დაიმსახურა. ბოლო პერიოდში იყო მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

დიდი სიყვარულის საფუძველზე, შესანიშნავი ოჯახი შექმნა. მისი შესანიშნავი მეუღლე წლების განმავლობაში ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, შვილებიც ტრადიციულ იდეალებზე გაიზარდნენ. სახელოვნად აგრძელებენ დიდებულ ოჯახურ ტრადიციებს.

დაე, წმინდა ანგელოზები მფარველობდეს შენს კეთილ სულს და კაცურკაცობას!

ბეშან ნადარაია.

გორიკო ბუკია

კიდევ ერთი გულმართალი, პატიოსნებით გასხივოსნებული, ოჯახისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ადამიანი წავიდა ამქვეყნიდან.

81 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეტყევე ინჟინერი გორიკო ბუკია.

დასანანია, რომ ასეთი ადამიანები ტოვებენ წუთისოფელს, წუთისოფელს, რომელსაც თავისი კანონები აქვს და დიდ სიხარულთან ერთად დიდ ტკივილს გვაყენებს ადამიანებს.

ბატონმა გორიკომ იმიერში გადასაბრძანებლად სიცოცხლეშივე შექმნა საუკეთესო წინაპირობა. პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით და კეთილშობილებით დაიმსახურა დიდი სიყვარული, საზოგადოების პატივისცემა და მოწიწება, რომელიც მის ახალგაზრდობასაც ასერიგად ამშვენებდა.

პარტიული და სამეურნეო მუშაკის სიტყვა და საქმე წონადი იყო და დიდად ფასობდა... ბოლო პერიოდში (პენსიაზე გასვლამდე) ნოჯიხევის სატყეოსანერგე მეურნეობას წლების განმავლობაში უძღვებოდა. საქართველოს სატყეო მეურნეობებს შორის მუდამ მოწინავე ხაზზე იყო. ბუნების ქომაგმა, მისი ფასი ზედმიწევნით იცოდა. იგი დარგის ბერმუხა იყო და ასეთად დარჩა.

როგორც ხდება ხოლმე, წარმატებულ და დაფასებულ ადამიანს გამორჩეული ოჯახი ჰქონდა (დედმამიშვილებზე არას ვამბობ). მეუღლე, სანაქებო შვილები და შვილიშვილები დატოვა მისი სულის საცხოვნებლად. მან არა მარტო ტყე შეუანახა მომავალს, არამედ პატიოსნების ურდული სამუდამოდ დაადო მისი დიდი ოჯახის კარიბჭეს.

დიდი გულისტკივილით ვეთხოვებით ბატონ გორიკოს–ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და ქომაგს, საიმედო რესპოდენტს და სამძიმარს ვუცხადებთ მის დიდებულ ოჯახს, ახლობლებს. იმის ღრმა რწმენით, რომ მის სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან დიდ საგვარეულოს სიკვდილის შემდეგაც დაამშვენებს მისი სახელ-გვარი, განსწავლულობა და ადამიანური თვისებები.

მერი ლაგვილავა.

სულთათანა

ბაკო სალაყაია

6 დეკემბერი, უმძიმესი ორშაბათი, გაოცებული თუ გაოგნებული სახეები, ქალებზე არას ვამბობ, მამაკაცების ცრემლმორეული, ჩაწითლებული თვალები, ყელში გაჩხერილი ტკივილი.

მანამდე იყო ერთთვიანი მოლოდინი, კოვიდით დაინფიცირებული ბაკო (შორენა) სალაყაიას გამოჯანმრთელებისა. ვლოცულობდით შეეგრძნო პატარა იოანას სურნელი, რომ დედა–შვილი ერთმანეთს შეხებოდნენ და ყველაფერი დასრულდა, გული დაეღალა, ვერ გაუძლო, ანგელოზი ანგელოზებს შეუერთდა მიწიერ რეალობას ვერშეგუებული, თურმე ყველაფერს გრძნობდა, თვალებით უნახავ ჩვილს ეძებდაო...

ხობის კულტურის სახლის სცენას აელანდაო, ჩაბნელებული სცენა უნდა განათებულიყო თითქოს, მისი ლამაზი ხატება მიკროფონით ხელში გვენახა, ისე, არაერთგზის რომ ფეხზემდგომნი ვუკრავდით ტაშს.

მოგუდული სუნთქვა ისმოდაო თითქოს ბაკოს დედის თამილა გვასალიას სამუშაო ოთახში, ცრემლები ვერ აუტკივარებდნენ იმ საოცარ გრძნობას, რომელსაც ყველა განვიცდიდით...

კომპიუტერის ეკრანიდან ღიმილიანი, თვალებბრიალა ბაკო გვიცქეროდა...

ძნელია, ვერ ვბედავთ სამძიმარი ვუთხრათ მის ლამაზ ოჯახს–მეუღლეს, უდედობას შესაჩვევ თვალებგვირა ქალიშვილს ელისაბედ დგებუაძეს, გულამოცლილ დედ-მამას, ერთადერთ დას, ახლობლებს.

ძნელია დაჯერება, რომ ლამაზია სიკვდილი, რომ სიცოცხლე მისით მშვენობს.

ცაში აფრენილს შორით ვეფერები, საყვედურს ვერ შევკადრებ, რადგან კალამი არ მემორჩილება, ქაღალდმა როგორ დაიტიოს ეს ტკივილი.

გარინდულა გარემო, დუმილი მოიხდინა ბაკომაც, ჩვენს ფიქრებში ისეთი სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა, რომც გინდოდეს, ვერა და ვერ ამოშლი, რადგან ის იყო მოარული მშვენიერება, ტალანტი, სიყვარული, ალამაზებდა გარემოს, მომავალში კი ხშირად, ხშირად მოგვანატრებს თავს...

გულისტკივილით ვამბობ, ეს ის შემთხვევაა, როცა სიკვდილით იწყება სიცოცხლე...

მშვიდობით, მშვენიერებავ!..

P.S. მაწვალებს კითხვა–პატარა იოანა დედას თუ დაემსგავსება და კიდევ ნატვრა-ჯანმრთელი გაიზარდოს და მალამოდ მოედოს სვეგამწარებულ ბებია-ბაბუებს და უნახავი „დედისსუნიანი“ დეიდის–დიკას გულს.

მერი ლაგვილავა.

მიყვარხარ, მენანები, დაგტირი...

უბედურება უბედურებაზე მიეწყო და შენდება დიდი ქართული ტაძარი გლოვის...

ისევ კოვიდი... 38 წლის ბაკო, ჩემი ლამაზი და კისკისა ცირა გადავანდა სხვა საუფლოში...

რატომ ვისჯებით ასე უმოწყალოდ, რა უბედურება მოგვეკიდა ცრემლად და წუხილად?!

ბაკოს წასვლა თვალმიუწვდომ კლდედ ამესვეტა, ცას გაუტოლდა და გადაჩრდილა ირგვლივეთი. ამ ბოლო დროს, სიკვდილი და ტანჯვა რაღაცნაირად, ესთეტიკურ კატეგორიადქცეულ სამყაროში.

თეთრი, ჯღართვალება, თმებგაჩეჩილი ბაკო, სცენის მშვენება გახლდათ. საოცრად თბილი ხმა, აბსოლუტური სმენა, მომაჯადოებელი ღიმილი და დახვეწილი მანევრები უფლის ფუნჯივით აფერადებდა მის არტისტულ იერ-სახეს. ყველაფერი უხდებოდა, ყველაფერს თავად იმშვენებდა...

ჩემი ლამაზი და ხვართქალა ბაკო, დაუხარჯავი, დაულეველი ენერგიის ცირა. სულ მეგონა, რომ დიდ სცენას ეწეოდა, მაგრამ ოჯახის შექმნის შემდგომ დედაქალობა მოიხდინა და ჩამყუდროვდა, თუმცა ისეთივე თვალებბრიალა და ხიბლიან გოგოდ დარჩა, უსასრულობის შეგძნებით ასე რომ ალამაზებდა სამყაროს...

ჩემი ბაკო...

სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, მესამე კურსზე სწავლისას, ისტორიაში ნიშანი დააკლეს, სულ მეგონა, ასეთ რამებს არად ჩააგდებდა, მაგრამ უსამართლობას ვერ შეეგუა და მეორე დღეს მე და ბაკო მივადექით კათედრაზე პროფესორ სვანაძეს, და მაშინ სხვა ბაკო დავინახე, სერიოზული, საქმიანი, მოზომილი და რაღაცნაირად მაღალი. ფრიადი დაუწერეს, უხაროდა, რომ სამართალი იპოვა...

„ეროვნული თანხმობის კავშირის“ ოფისში, თბილისში, რუსთაველზე, ახალგაზრდა მწერლებმა გავხსენით ლიტერატურული სალონი, ბაკო თავის ლამაზ და ჭკვიან ჯგუფელებთან ერთად მთავარი მშვენება გახლდათ სალონისა. უამრავი ლამაზი და დიდებული საღამოები მოვაწყვეთ, განსაკუთრებით გავიხსენებდი შეხვედრებს დიდებულ შემოქმედებთან, რომელთაგან უმრავლესობა დღეს ცოცხალი არაა...

და ერთი საღამოს დასრულების შემდგომ ბაკო თავის ორ ჯგუფელ გოგონასთან ერთად მოვიდა და მთხოვა, იქნებ ამ შაბათ-კვირას კახეთში წავიდეთო. შემოდგომის პირია, კახეთში ჯერ ადრეულა ვაზი იკრიფება, მალე დიდი რთველიც დაიწყება, ახლა იქ ყოფნას არაფერი სჯობდა და წავედით. იცოდა, უარს არაფერზე ვეტყოდი და ამითაც ისარგებლა. მოკლედ, თემო დოლიძის „ოპელით“ გავუდექით გზას ერეკლეს ქალაქისკენ. წინ ჩვენ–მე და თემო, უკან სამნი, ბაკო და კიდევ ორი, ერთი თიკო მუხურაძე, მეორეს სალომე ერქვა, გვარი სამწუხაროდ აღარ მახსოვს. ბაკოს გზაში ენა არ გაუჩერებია, ოხუნჯობდა, ტიტინებდა, კალამბურობდა, მეც ამიყოლია. თემომ ხუმრობით, მანქანის მოტორი და ბაკო ერთნაირად მუშაობენო.

ბარჯიხევთან წასახემსებლად შევჩერდით, ერთ დახლთან დიდი დინამიკები გადმოედგათ და საქეიფო სიმღერები ჩაერთოთ, კასეტებისა და დისკების მოვაჭრეებს. მე და თემო რაღაცეებს რომ ვყიდულობთ უცებ დინამიკიდან ბაკოს ხმამ იჭექა: ეს სიმღერა ეძღვნება ულამაზეს კახეთს, მეგრელებისგან! და შესაბამისი მუსიკის ფონზე, მიკროფონ მომარჯვებულმა ბაკომ „ვაიორქო მა...“ დაიწყო. ზღვა ხალხი შეიკრიბა, წამსვლელ-მომსვლელები, ვინ რას ჩუქნიდა და ვინ რას „ქუჩის მაფშალიას“, მერე რაღაც დარდიმანდული სიმღერაც მოაყოლა. მოკლედ კონცერტი ჩაატარა... ასეთი იყო ჩემი ბაკო...

თელავში ჩემს ჯგუფელს- ლექსო ცისკარიშვილს ვსტუმრობდით, იქ ხომ საოცრებები ჩაიდინა... დღემდე იხსენებენ ცისკარიშვილები ლამაზ, თეთრგვემან, ზღვისფერთვალება კოლხ ცირას და როცა კი საუბარი შეგვხმატკბილებია, ეგრევე მოუყოლებიათ, ის შენი ლამაზი და მაგარი მამიდაშვილი არ უნდა გვასტუმროო?

ის ჩემი ლამაზი და უჭკვიანესი 38 წლის მამიდაშვილი აღარაა, კოვიდმა შეიწირა. ორსულად იყო, გაურთულდა, თბილისში საუნივერსიტეტო კლინიკაში მკურნალობდა, მაგრამ... შვილი გადაარჩინეს, თავად ბევრი იბრძოლა, იწვალა, იმუნჯა, თუმცაღა გულმა ვერ გაუძლო და წავიდა. დატოვა შვილი, მეუღლე, მშობლები, დაიკო და ჩვენ...

ამასწინებზე დიკას ვესაუბრე მისი ყოველი სიტყვა და სტრიქონი ტიროდა, ქვითინებდა, პოეტია და მისი მგრძნობელობა, მითუფრო დაიკოსთან მიმართებაში პიკს აღწევდა...

თამილა, ენვერი, დიკა, დუკა, თამაზი, თათია, თემური, ზურა, თეა და... ყველა, არ ვიცი რა გითხრათ, იქნებ სიზმარია ესეც, დიდი სიზმარი, საიდანაც გამოსვლა უჭირს ღმერთშეყოვნებულ ადამიანეთს და ერთდროს გამონათდება... ვინძლო, იქა სჯობია სულაც, იმ უნახავ, მაგრამ ყველას დამტევ სოფელში... აბა რა ვიცით, ვერაფრისშემძლე და ცრემლის იმედად დარჩენილებმა!..

უცებ ალბერ კამიუს ნათქვამი მომაგონდა „შავი ჭირიდან“, სხვათა შორის, შავი ჭირიც ცხოვრებაა“... ასეა, ეს უბედურებაც ჩვენი ცხოვრებაა, გარდაუვალი ტკივილებით, გამოარაფრებული ცხოვრება!..

განისვენე მშვიდად. ჩემო ლამაზო და დაუდეგარო გოგო, ვისაც ყველაფერი გიხდებოდა, ყოველდღიურობა თავისი ათასი რაობებით, ღიმილი, სცენა, მიხვრა- მოხვრა, კეკლუცობა, კლასიკურობა, არისტოკრატიზმი და ყველაფერი... ამ სიკვდილსაც მოიხდენ, შენ ყველაზე ლამაზი და გასაოცარი მიცვალებული იქნები მთელს დედამიწაზე.

მიყვარხარ... მენანები, დაგტირი...

მომენატრები, ჩემი ბაკო!..

ლაშა გვასალია.

პაპუნა ლოლუა

წუთია წუთისოფელში. ბოროტსა ზედა მდგარ ქვეყანაში არავის გავდი: მთელი სამყაროს სიყვარული დაგქონდა გულით, მხარბეჭიანს, სათნოს და სანდომიანს, ლაღს და ამტანს, გამგებიანს, მზრუნველს, ყველასიანს...

არავის გავდი: შენს ფრთებს ქვეშ ამყოფებდი კეთილს თუ ამპარტავანს, სანდოს თუ შურიანს, კაცს თუ არაკაცს. მუდამ გამართულად მოარული, ნამუსიანი.

ღირებულია შენი გარდასახვაც, უჩვეულო და უსასტიკესი.

გაგწირა იმან, ვინც შეიფარე!

გონება?–გონება ყველაზე ძლიერი იარაღია ადამიანში, ვისაც ის არა აქვს, ის იღებს ხელში იარაღს.

შენ?–შენ ვაჟკაცი ხარ! ის?–ის კი ლაჩარი, მკვლელი, ყველასთვის მიუღებელი.

შენ?–შენ იცხოვრე თავმდაბლობით, სიყვარულით, პატივისცემით.

მან?–მან ამპარტავნებით, შურით და ღვარძლით.

შენში მთელია ის, რაც უხრწნადია (სული). მასში კი ის, რაც ხრწნადი (ხორცი).

მე?–მე ბედნიერი ვარ, რადგანაც შენი სისხლის ვარ.

მე?–მე ბედნიერი ვარ, რადგანაც შენია ცათა სასუფეველი.

უკვალოდ არ ჩაივლიან მოხუცი დედის მდუღარე, ზღვა ცრემლები.

უკვალოდ არ ჩაივლიან მამაზე უზომოდ შეყვარებული შვილების კითხვები რატომ? რისთვის?

უკვალოდ არ ჩაივლიან გარდაცვლილი შვილის მიმართ აღვლენილი ლოცვები.

უკვალოდ არ ჩაივლიან თავად შენი ამ ქვეყნად და იმ ქვეყნად ღირებული თვისებები.

სულმან შენმან კეთილთა შინა განისვენოს ჩვენო ფარო და მახვილო! მუდამ ჩვენთან დარჩენილო, სუფთა სიყვარულით აღვსილო!

მთელი ცხოვრება მაოცებდა ადამიანების დამოკიდებულებები შენდამი, უდიდესი სითბო, ზღვა სიყვარული... ვფიქრობდი, ვხსნიდი, როგორ შეეძლო მიეღწია ადამიანს მსგავსი რამისთვის, თურმე სრულიად უბრალოდ, მარტივად „სუფთა სიყვარულით“.

სუფთა სიყვარულს აფრქვევდი ყველგან... ამად ღირდა შენი ამ ქვეყნად მოსვლა წუთია წუთისოფელში.

14 დეკემბერი–მეორმოცე დღეა, დღე შენი იმ ქვეყნად საბოლოოდ გარდასვლისა, გარდასახვისა, ახალ სამყაროში დამკვიდრებისა.

წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე, სულსა მონისა შენისა პაპუნას, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

მადლობა ყველას ზღვა ცრემლებისთვის, თანადგომისთვის, პაპუნას ასეთი გაცილებისთვის!

და მედეა ლოლუა.

საახალწლო ღონისძიებების პროგრამა

24 დეკემბერი

14:00 სთ.

წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება, წარმატებული სპორტსმენების ფოტო-მასალების გამოფენა.

კულტურის სახლის I სართული (ფოიე).

18:00 სთ.

,,ნაძვის ხის ანთება“

კონცერტი–ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით.

ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე (გარეთა სცენა).

27 დეკემბერი

09:00სთ-დან 18:00 სთ-მდე.

საახალწლო ბაზრობა-ახალგაზრდებისა და ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით.

(საახალწლო ნუგბარის, საკვების, რეწვისა და ხელთნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა...)

კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია,

28 დეკემბერი

12:00სთ.

ხობელი თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (ირაკლი შონია, ლაურა კვარაცხელია, დალი სერგია, დარეჯან ცქვიტავა, ეკა ბასილაია...)

კულტურის სახლის I სართული(ფოიე).

13: 00 სთ.

თოჯინების სპექტაკლი,,სამი მეგობარი“-ჩვენება (საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და საჯარო სკოლის I და II კლასის მოსწავლეებისთვის).

კულტურის სახლის დიდი დარბაზი.

30 დეკემბერი

კონცერტი

პოპულარული ქართული ჯგუფის (ბენდი)–მოწვევა; კოსტიუმირებული ზღაპრის გმირები (ანიმატორების შოუ); დრამერების შოუ-მსვლელობა, თოვლის ბაბუასთან ერთად; ცეცხლოვანი შოუ პროგრამა; სცენის განათება; სცენის ფეიერვერკი; გარეთა ფეიერვერკი (პროფესიონალური).

ხობის ცემტრალური პარკის ტერიტორია

31 დეკემბერი

23:30სთ.-დან–24:30სთ.-მდე

მოწვეული დიჯეი.

24: 00 სთ-ზე–ფოიერვერკი

5 იანვარი

14:00-დან 18:00 სთ-მდე

საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზებული საახალწლო -საშობაო კონცერტი.

ქალთა საფეხბურთო გუნდი „ხობის კოლხეთი“ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული

ჩემს ბავშვობაში არა, მაგრამ ჩემი მშობლების ბავშვობაში, ყველა ფიქრობდა, რომ ფეხბურთი ბიჭების საქმე იყო. საბჭოური 90-იანების სტერეოტიპი როდის და როგორ დაიმსხვრა, ამაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველა მიეჩვია სპორტში ქალების სიმრავლეს და დღეს, თანამედროვე ეპოქის, სპორტის მოყვარული ქალების მხრიდან, ყველაზე დიდი მოთხოვნა ფეხბურთს აქვს.

სამოყვარულო დონეზე მოთამაშე ქალთა გუნდის მონდომება პროფესიონალების ყურადღების ცენტრში მოექცა, რამაც მათი აზარტი მეტად გაზარდა, ხოლო 2011 წელს გადაწყდა, რომ ამ ყველაფერს ოფიციალური სახე მიეღო და დღეს უკვე ქალთა საფეხბურთო გუნდი „ხობის კოლხეთი“ ათი წლისაა, რომელსაც ზურაბ ლატარია ხელმძღვანელობს. სწორედ მისგან შევიტყვეთ ხობში სპორტზე შეყვარებული გოგონების ათწლიანი ისტორია.

შრომას, რომ აუცილებლად აქვს შედეგი, ამაზე საუბრით არ დავღლი მკითხველს, მხოლოდ ამ გოგონების შესახებ ვისაუბრებ, რომლებმაც საზოგადოებას დაუმტკიცეს, რომ ქალი მრავალპროფილური ფენომენია. სპორტულ ცხოვრებას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და ხშირმა ვარჯიშმა ნაყოფიც გამოიღო.

გუნდის კაპიტანი ანა წულაიაა, სწორედ მისი და ზურაბ ლატარიას ინიციატივა გახლავთ ხობის ქალთა საფეხბურთო გუნდის დაარსება. პროფესიონალის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა გოგონები, რომლებიც აქტიურად ვარჯიშობდნენ, თავიანთ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. ზურაბ ლატარიამაც დაინახა მათში ფეხბურთის სიყვარული, ბრძოლა პირველობისთვის, მონდომება წარმატებისთვის და უდიდესი პოტენციალი. სწორედ აქედან იწყება ქალთა საფეხბურთო გუნდის, „ხობის კოლხეთის“ ისტორია, რომელსაც დღემდე არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია.

ყველაზე ემოციური იყო საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება, სადაც რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას. „ხობის კოლხეთმა“ კი უკრაინული გუნდის დამარცხებით ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი. შემდეგ იყო „აჭარის თასისთვის“ ბრძოლა, სადაც საქართველოს, უკრაინის, სომხეთისა და ლიეტვუის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. გოგონებმა აქაც უპირობო გამარჯვება მოიპოვეს.

აღსანიშნვაია ის ფაქტიც, რომ ბოლო ოთხი წელია, ჩემპიონატებზე იღებენ მონაწილეობას და ყოველ წელს უფრო და უფრო უკეთეს შედეგს დებენ, წელს კი ოთხეულში ღირსეულად იკავებენ მესამე ადგილს. სამომავლო გეგმებს, რაც შეეხება, მათი მიზანი, რა თქმა უნდა, შედეგის გაუმჯობესებაა, რომლისთვისაც თავს არ ზოგავენ.

ამ ეტაპზე გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება: კაპიტანი–**ანა წულაია;** ვიცე კაპიტანი–**სალომე თოდუა**; ფეხბურთელები: **თამარ სვანიძე, მაკრინე ლომაია, მარიამ გაგუა, ლიკა ქობალავა, ნატა კვირკვაია, თამრიკო სალუქვაძე, მეგი გოცირიძე, მანონი საღარაძე, სალომე საღარაძე, თამთა კემულარია, მარიამ შონია, თიკო ამბალია,** მეკარეებს რაც შეეხება, ისინი არიან **ეკა თაბაგარი და ანი ლომსაძე**. გუნდის მწვრთნელი **ზურაბ ლატარიაა,** რომელიც მუდმივად ზრუნავს, როგორც გუნდისთვის უკეთესი პირობების შექმნაზე, ასევე, გოგონების ფორმაში ყოფნასა და განვითარებაზე.

და ბოლოს, არ შემიძლია ჩემს ემოციებზე არ ვისაუბრო. ჩვენ ქალებს საზოგადოების ნაწილისგან მუდმივად გვიწევს იმ სტერეოტიპის დამსხვრევა, რომ ქალი სუსტი არსებაა, უსუსური, რომელსაც დაცვა სჭირდება, თუმცა რეალურად კი ჩვენ სუსტებზე ბევრად მეტნი ვართ. დღეს ქალი ძალიან ბევრ ისეთი პროფესიაშია, რომელსაც მიიჩნევენ, რომ მხოლოდ კაცებს შეეფერებათ . ამის ერთერთი მაგალითია ფეხბურთი, როდესაც ჩემივე სქესის წარმომადგენელს ასეთ წარმატებულ, ძლიერს ვხედავ და წარმატებულს, დადებითი ზღვა ემოციები მეუფლება.

ხობის ქალთა გუნდმა ბევჯერ დაამტკიცა, რომ ღირსეულები არიან და ასევე სამომავლოდაც ბევჯერ დაამტკიცებენ, უბრალოდ, როგორც იტყვიან. დროს უნდა მივცეთ დრო. ჩვენ კი გულშემატკივრები ისევ ბევრ მოგებას და წარმატებას ვუსურვებთ ქალთა საფეხბურთო გუნდ ხობის „კოლხეთს“

მეგი ყურაშვილი

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.